სარჯიელი

სპორტული გაზეთი ორშაბათი 4 აგვისტო 2008 №178 (3402) ფასი 50 თეთრი

ვიტ ჯორჯიას აუსტრიაც სწყურია

ინტერვიუ ირაკლი კლიმიაშვილთან

ქართველთა მსოფლიო ვერცხლით დამთავრდა

თავისუფალ ჭიდაობაში ოქრო რუსებმა წაგვართვეს



საქა-რთველო პეკინს ნახევარფინალით იწყებს

ბრაზილიელი ქართველების დიდი სლემი

საქართველოს თასი: უმაღლესი პირველს საპასუხოში უპასუხებს?

დღეს თასის მეთექვსმეტედფინალია

ამერი — კახეთის პირველი შერეედფინალური მატჩი

ალექსანდრ ალექსიძის ფოტო

კუპერი თურმე ავტორიტეტია

პრესასთან ლაპარაკი არ უყვარს



ბადრი კბილაძის ფოტო

საქართველოს ნაკრებს კარგი და ავტორიტეტული მწვრთნელი კი ჰყავს, მაგრამ ერთი, არცთუ კარგი ამბავიც უნდა გითხრათ: ექტორ რაულ კუპერი თურმე ჟურნალისტებს ნამეტანი არ სწყალობს. არ ვიცით, ასე რომელი ქვეყნის მედიამ გააღიზიანა, მაგრამ ფაქტი კია: საქართველოს ნაკრებში მის დანიშვნაზე რომ იყო ლაპარაკი, ინტერვიუზე მაშინაც უარი გვითხრა და ახლაც, როცა ის უკვე ჩვენი ნაკრების მწვრთნელია.

არადა, სასაუბრო მასთან მართლაც ბევრი გვაქვს, ასე ვთქვათ, სალაპარაკოდ მზად ვართ, მას კი ჟურნალისტებთან ურთიერთობა არ სურს. შევიტყვეთ, რომ ექტორ რაულ კუპერს მასმედიასთან ურთიერთობაში, როგორც ნესი, სხვა ეხმარება.

უკეთესი კი იქნება, პატივიცემული ახალი მწვრთნელი ჟურნალისტებს პირადად გვესაუბროს.

მოკლედ, ვნახოთ... გაფუჭებული ტელეფონის ვარიანტი არ გამოვიდეს.

კოგა ინასარიძე

დიდებს ასვლა უნდათ, პატარებს კი დარჩენა

ალექსანდრ ალექსიძის ფოტო

საქართველოს 20-წლამდელ კალათბურთელთა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის A დივიზიონში ერთი მატჩი კი მოიგო, მაგრამ ორი წააგო და ახლა ელიტარულ დივიზიონში დასარჩენად იბრძვიან.

ეროვნული ნაკრები კი, რომელსაც ახალი მწვრთნელი, სერბი იგორ კოკოშკოვი ხუთშაბათს ჩამოუვიდა, პირიქით, ელიტაში ასვლას ეშურება და ამ საქმიდან რამე ეგებ ამ ჯერზე მაინც გამოვიდეს.

ეს ის თარგამაძეა!

გურამ დოლენჯაშვილის ფოტო

დავით თარგამაძემ პირველად ითამაშა „ფრაიბურგის“ ძირითად გუნდში. გეცოდინებათ, 19 წლის ქართველმა ახლახან გააფორმა კონტრაქტი „ფრაისთან“, მანამდე კი ამ გუნდის 19-წლამდელებში გერმანიის ბუნდესლიგა მოიგო. იმასაც შეგახსენებთ, რომ თარგამაძით პირველი ბუნდესლიგის კლუბებიც იყვნენ დაინტერესებულნი, მაგრამ დათომ რჩევებს ყური უგდო და „ფრაიბურგში“ დარჩა.

ახალგაზრდა მარჯვენა გარემარბს „მაინცთან“ ჰქონდა დებიუტი, ძირითადში იყო და 52-ე წუთზე შეცვალეს. „ფრაიბურგმა“ 1:0 იმარჯვა.

„ეს ის თარგამაძეა, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა „ფრაის“ JUGED გუნდის ჩემპიონობაში. „მაინცთანაც“ კარგად ითამაშა და სულ არ ეტყობოდა, რომ დებიუტი ჰქონდა. რამდენიმე მშვენიერი დრიბლინგით დაგვამახსოვრა თავი“ — წერს „ფრაის“ საიტი.

ილია ნანოგაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოფიციალური ფოტო

ივანიშვილის დუბლი და პენალტი

„ციურიხის“ 21-წლამდელთა გუნდს შვეიცარიის ჩემპიონატი დაეწყო და გიორგი ივანიშვილიც აბობოქრდა. „კრიუზლინგერთან“ შეხვედრაში ქერათმიანმა ქართველმა 80 წუთი ითამაშა და ორი გოლი ხომ გაიტანა, ერთი პენალტიც მოინადირა.

ციურიხის“ U21-მა 6:3 იმარჯვა, არადა, 0:2 აგებდა. აღსანიშნავია, რომ ამ შეხვედრაში პირველი გოლი მე-9(!) წამზე გავიდა.

გიორგიმ მეორე ტაიმის დასაწყისში შვიდწუთიან მონაკვეთში გაახერხა დუბლი — ჯერ გაათანაბრა, მერე კი წინ გაიყვანა თავისიანები.

ჰო, ისიც აღვნიშნოთ, რომ „ციურიხის“ საიტზე გიორგის გვარად ყაველაშვილი ეწერა ხოლმე, ამჯერად კი გაასწორეს — გეცოდინებათ, ეს ბიჭი მიხეილ ყაველაშვილის გერია.

იმედია, ივანიშვილს მალე ვიხილავთ „ციურიხის“ ძირითად გუნდში. წინა სეზონის ბოლოს იგი ერთ მატჩში განაცხადშიც ჰყავდათ, თუმც თამაში არ მოუწია.

ილია ნანოგაშვილი

ქართველების ცოტა წუთები

. სანამ ევროპაში საფეხბურთო ჩემპიონატები გახურდება, გუნდები საკონტროლო მატჩებს მართავენ.

ლევან კობიაშვილისა და ლევან ყენიას „შალკე“ ქვედალიგელ „ალემანიას“ გაეჯიბრა და 4:0 მოუგო.

ყენიას არ უთამაშია, კობიაშვილი კი ბოლო 10 წუთით დაიტვირთა.

მხოლოდ მეორე ტაიმი ითამაშა ალექსანდრე იაშვილმა, მისი „კარლსრუე“ კი 1:1-ს დასჯერდა ფრანგულ „სოშოსთან“.

ჩვენებურს გატანაც შეეძლო, მაგრამ კარგი მომენტი გაანიავა.

„ბლეიბერნი“ კი ინგლისური პრემიერლიგისთვის ემზადება. გუნდმა საკონტროლო მატჩი გამართა „ვულვერჰემპტონთან“ და 2:4 წააგო.

ზურაბ ხიზანიშვილს ტრავმა ახალი მოშუშებული აქვს და მწვრთნელი, პოლ ინსი, მსუბუქად ტვირთავს. „ვულვზთან“ მატჩში ზურაბი მხოლოდ 9 წუთს ათამაშეს.

მიხეილ ჟორჟოლიანი

ვიტ ჯორჯიას აუსტრიაც სწყურია

ირაკლი კლიმიაშვილი: სპარტაკმა არ შეგვაფასა და ძვირადაც დაუჯდა

საქართველოს ჩემპიონატში თუ პერსპექტიული ახალგაზრდა ფეხბურთელებს ჩამოვთვლით, მათ შორის ერთ-ერთი გამორჩეული, უდავოდ ირაკლი კლიმიაშვილია. „ვიტ ჯორჯიას“ 20 წლის ნახევარმცველი ჯიგრიანი თამაშით იპყრობს ყურადღებას, ადვილად საცნობი თამაშის მანერა აქვს და ბოლოს პეტარ სერგტმა ტყუილად როდი აიყვანა ეროვნულ ნაკრებში. კლიმიაშვილთან ნაკრების თემაზე არ გვილაპარაკია — „ვიტ ჯორჯიას“ საუეფასთასო მატჩი შევაფასებინეთ ტრნავას „სპარტაკთან“ და, ცხადია, ვენის „აუსტრიაზეც“ ვკითხეთ.

— პირველ რიგში, რის ხარჯზე აჯობეთ ტრნავას „სპარტაკს“?

— ტექნიკით და, ჩემი აზრით, ფიზიკური მომზადებითაც. ეს თბილისში ბოლო წუთზე გატანილმა გოლმაც გამოაჩინა. ტრნავაშიც, საწყის წუთებში უპირატესობას ვფლობდით, პრესინგი ვეთამაშეთ მათსავე ნახევარზე და დავაბნიეთ. კიდევ, ჩემი აზრით, „სპარტაკმა“ სათანადოდ არ შეგვაფასა პირველ მატჩში და ეს მწარედაც დაუჯდა.

— თქვენმა მწვრთნელმა ნესტორ მუმლაძემ თქვა, თბილისურ მატჩში შედარებით სუსტად ვითამაშეთო...

— დიახ, ასე იყო, ტრნავაში უკეთესი თამაში ვაჩვენეთ ჩვენც და „სპარტაკმაც“. თბილისში კი საჩვენო თამაში იყო მთლიანად: მეტოქეს მოგება უნდოდა, მაგრამ დიდი ძალებით შეტევას ვერ ბედავდა ან ვერ ახერხებდა. ჩვენც მაინცდამაინც არ მოგვიკლავს თავი შეტევებით, რადგან 0:0 გვაწყობდა.

— მეორე ტაიმში შეცვლა თავად ითხოვე?

— დიახ. ფეხი ამტკივდა.

— კმაყოფილი თუ დარჩი შენი თამაშით?

— მთავარია, გუნდმა მოიგო. ჩემი თამაშითაც არ ვარ უკმაყოფილო.

— მეორე ეტაპზე ვენის „აუსტრიას“ მეტოქეობა რომ შეიტყვეთ, გუნდში ამას რა რეაქცია მოჰყვა?

— ცხადია, „აუსტრია“ ტრნაველებზე ძლიერი იქნება, მაგრამ ცდას არ დავაკლებთ, რომ ეს ეტაპიც გავიაროთ. „აუსტრიაზე“ მაგარიც შეიძლებოდა შეგვხვედროდა. ამ გუნდის თამაშების ვიდეოკასეტებს მივიღებთ და ვნახავთ, გავაანალიზებთ, ჯერ ადრეა რამის თქმა.

— როგორ ფიქრობ, „ვიტ ჯორჯია“ ახლა უფრო ძლიერია თუ გასულ ზაფხულს?

— ახლა. გუნდიდან წავიდა პაატა დათუნაიშვილი, რომელიც ჩვენთვის დიდი ძალა იყო, მაგრამ ეს „ვიტ ჯორჯიასთვის“ პირველი დანაკლისი არაა. კარგად ვართ შეთამაშებულები, მეგობრული გუნდი გვყავს და ეს ჩვენი კოზირია.

— საქართველოს ჩემპიონატში, ალბათ, პირველი ადგილის გარდა, არაფრის გაგონება არ გინდათ...

— მიზანი ჩემპიონობაა და მაქსიმუმს გავაკეთებთ ამის მისაღწევად. წინა სეზონი სანამ დაიწყებოდა, მიზნად სამეულში მოხვედრა გვქონდა, მაგრამ მერე გამოჩნდა, რომ ჩემპიონობაც შეგვეძლო. მოკლედ, რაც წლეულს ვერ გავაკეთეთ, გაისად ზაფხულს უნდა მოვახერხოთ.

ილია ნანოგაშვილი

პანა ხალხით მოდის

რით დახვდება დინამო?

ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე „დინამოს“ მეტოქე ათენის „პანათინაიკოსი“ თბილისში ხვალ ჩამოვა და სასტუმრო „ქორთიარდ მერიოტში“ დაბინავდება.

ბერძნულმა კლუბმა, ცხადია, ეროვნულ სტადიონზე ვარჯიშიც ითხოვა — ისინი 19 საათზე დააჭაშნიკებენ „დინამოს“ საშინაო სარბიელს.

„პანათინაიკოსს“ თბილისში 100-მდე ქომაგი და დაახლოებით 20 ჩვენი კოლეგა მოჰყვება. აქედანაც ჩანს, რომ ბერძნები თავიანთი უტიტულოვანესი კლუბის არცერთ თამაშს არ აცდენენ. ისე კი, გავიგეთ, რომ თბილისში ბარე ხუთი ამდენ ქომაგს მოსდომებია წამოსვლა, მაგრამ...

შეგახსენებთ, „პანათინაიკოსთან“ პირველი მატჩი ჩვენებმა 0:3 დათმეს და შემდეგ ეტაპზე გასასვლელად თბილისში 4:0 უნდა მოიგონ. ვნახოთ, რა გამოუვა „დინამოს“ ამ საქმიდან, ჩვენებს ამაზე უარესი შედეგიც შეუტრიალებიათ სათავისოდ...

აქვე კი გეტყვით, რომ „პანათინაიკოსთან“ საპასუხო შეხვედრისას „დინამოს“ მცველები შოთა კაშია და ალეკო ინწკირველი დისკვალიფიკაციას, ხოლო კაპიტანი დავით დიღმელაშვილი ტრავმის გამო დააკლდებიან...

კოგა ინასარიძე

სპორტულ ჟურნალისტთა საყურადღებოდ!
უეფას ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე „დინამო“ — „პანათინაიკოსის“ მატჩზე აკრედიტაციის მსურველ ჟურნალისტებს ვთხოვთ, მიმართონ სკ „დინამო თბილისის“ პრესსამსახურს 5 აგვისტოს 19-დან 20 საათამდე ეროვნულ სტადიონზე.

ფეხბურთი

თბილისი. ეროვნული სტადიონი

ჩემპიონთა ლიგა. II საკვალიფიკაციო ეტაპი

ნაგვისტო

დინამო — პანათინაიკოსი

საქართველო — საბერძნეთი

PANATHNAIKOS 1908

დასაწყისი 20 საათზე. ბილეთის ფასი 5,10,15 ლარი

დავით ყიფიანის თასის ყაზბეგის გათამაშება
მეთექვსმეტედფინალი. საპასუხო მატჩები

www.pfl.ge

ლოკომოტიველმა რატი ლეკვეიძემ პირველ მატჩში ლუმბეთელები საჯერ დაამწუხრა

ფოტო ალექსანდრ ბეგლარიშვილის

დასავლეთი

4 აგვისტო. 17 საათი

ბაია	—	მგლები (5:1)
სამტრედია	—	ბორჯომი (1:0)
ოზურგეთი	—	სპარტაკი (0:5)
გურია	—	მეშახტე (4:1)
ხობი	—	მერანი (მ) (0:4)
ტორპედო 2008	—	ჭიათურა (1:1)

5 აგვისტო. 17 საათი

კოლხეთი	—	მესხეთი (0:1)

აღმოსავლეთი

4 აგვისტო. 17 საათი

ჰერეთი	—	ოლიმპი (0:5)
ნორჩი დინამოელი	—	სიონი (0:4)
ჩიხურა	—	მერანი (თბ) (0:1)
კახეთი	—	ამერი (1:2)
დუშეთი	—	ლოკომოტივი (0:8)

5 აგვისტო. 17 საათი

თბილისი	—	გაგრა (4:2)

თითქმის გადაწყვეტილი
პირველმა ლიგამ უმაღლესი ამხილა

1-2 აგვისტოს დავით ყიფიანის თასის ყაზბეგის გათამაშების მეთექვსმეტედფინალის პირველი მატჩები გაიმართა, დღეს და ხვალ კი საპასუხო შეხვედრები ჩატარდება. მოგეხსენებათ, ეს ეტაპი დასავლეთ-აღმოსავლეთ ზონებად არის დაყოფილი.

დასავლეთში ყველაზე საინტერესო ზუგდიდური წყვილი ჩანდა, ერთმანეთს „მგლები" და „ბაია" დაუპირისპირდნენ, თუმც პირველლიგელებმა 5:1 გაანადგურეს თანაქალაქელები და ამ შედეგიდანაც კარგად გამოჩნდა, რა გაქანების გუნდი იქნება წლეულს „მგლები". „ბაია" კი შეგვიძლია, მერვედფინალისტად მოვნათლოთ.

ახალშობილების, „ჭიათურისა" და „ტორპედო 2008"-ის ზემოიმერული მატჩი ფრედ 1:1 დასრულდა და წესით, დღეს ქუთაისში კარგი ბრძოლა უნდა გაიმართოს. თან ისიცაა, რომ შესაძლოა, „ჭიათურაში" ორი კამერუნელი გამოჩნდეს — ისინი რამდენიმე დღეა, გუნდთან ერთად ვარჯიშობენ და, სავარაუდოდ, კარიერას „შავი ოქროს" ქალაქში გააგრძელებენ.

მარტვილის „მერანმა" 4:0 გაანადგურა მეზობელი ხობის „კოლხეთი" და არა გვგონია, დღეს მარტვილელებმა ამხელა უპირატესობა გაფლანგონ.

კიდევ ერთმა უმაღლესლიგელმა „ბორჯომმა" შინ 0:1 წააგო. მისი მძლეველი „სამტრედია" აღმოჩნდა და, ვფიქრობთ, ასეთი გუნდით წლეულს ბორჯომელებს უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნება გაუჭირდებათ.

ლანჩხუთური ფეხბურთი გაცოცხლდა — სეზონის პირველ მატჩში „გურიამ" ტყიბულში „მეშახტე" წაახდინა და დღევანდელ მატჩს შედარებით მშვიდად დახვდება.

ლანჩხუთელთა მეზობელი ოზურგეთის „მერცხალი" კი გორში ცხინვალის „სპარტაკთან" განადგურდა. კობა ჟორჟიკაშვილის შეგირდებმა ხუთი უპასუხო გოლი გაიტანეს და თავი მერვედფინალში დაიგულეს.

ახალციხის „მესხეთმა" მინიმალური სხვაობით სძლია ფოთის „კოლხეთს" და ხვალ ფოთში სასეირნოდ ვერ ჩავა, გვარიანი ბრძოლა მოუწევს.

აღმოსავლეთში, როგორც მოსალოდნელი იყო, რუსთავის „ოლიმპმა" და ბოლნისის „სიონმა" ადვილად გაიმარჯვეს. რუსთაველელებმა ლაგოდეხის „ჰერეთი" დაიბრიყვეს 5:0, ხოლო ბოლნისელებმა „ნორჩი დინამოელი" არ დაინდეს და 4 გოლი გაუტანეს.

საქართველოს თასის ორგზის მფლობელმა „ამერმა" კი თელავის „კახეთს" შინ 2:1 მოუგო და დღეს თელავში შეეცდება უპირატესობა შეინარჩუნოს.

უმაღლეს ლიგაში შემთხვევის წყალობით აღმოჩენილმა „გაგრამ" გლდანში „თბილისთან" 2:4 წააგო და შემდეგ ეტაპზე გასვლა საოცნებო გაიხადა.

თბილისის „მერანმა" კი კინკილა გოლით მოუგო საჩხერის „ჩიხურას" და ხვალ ზემო იმერეთში საინტერესო შეხლა უნდა გამოვიდეს.

ყველაზე უმოტივაციო მატჩი კი დუშეთში გაიმართება, სადაც „ლოკომოტივი" სტუმრობს. პირველი შეხვედრის ანგარიში თუ იცით, აქ სადავო არაფერია.

მომდევნო ეტაპიდან კი, შეგახსენებთ, თასის გათამაშებას „დინამო", „ვიტ ჯორჯია" და „ზესტაფონი" შეუერთდებიან, რომლებიც ევროთასებზე მონაწილეობის გამო იყვნენ განთავისუფლებულნი მეთექვსმეტედფინალიდან.

მერვედფინალის წილისყრა კი 6 აგვისტოს გაიმართება.

ნუკრი ლოლაძე

ტატანამ მოიგო, განუმ ფავორიტთან წააგო

ჩეხეთის გამბრინუსლიგა დაიწყო და ოფიციალურ მატჩში ექს-ამერელი დიმიტრი ტატანაშვილის დებიუტიც შედგა.

„ტატანას" „პლზენმა" შინ 3:2 მოუგო „ჟიჟკოვს" და ჩვენიანმა შეუცვლელად ითამაშა, თუმც საგოლე კომბინაციებში მონაწილეობა არ მიუღია.

ერთ-ერთმა ჩეხურმა გაზეთმა მოთამაშეების შეფასებისას ტატანაშვილს 6,5 დაუწერა — ამ მხრივ მესამე-მეოთხე ადგილზე გავიდა პლზენელთა შორის.

გიორგი განუგრავას „მლადა ბოლესლავი" კი სტუმრად 70 წუთი უძალიანდებოდა „სპარტას" და მაინც წააგო 0:1. ჩეხეთის ჩემპიონობის ფავორიტთან „განუ" 64-ე წუთზე შეავიდა მინდორზე, თუმც ღირსშესანიშნავი ვერაფერი შექმნა.

გიორგის ჩეხური დებიუტი წინა სეზონში სწორედ „სპარტასთან" ჰქონდა.

ჩეხეთის მეზობელ სლოვაკეთშიც გადავიდეთ, სადაც ირაკლი ლილუაშვილის „ნიტრამ" შინ 1:2 წააგო ქვეყნის ჩემპიონ ჩემპიონ „არტმედიასთან". ლილუაშვილმა ბოლო 12 წუთი ითამაშა.

მოკლედ, წინა წლებისგან განსხვავებით, ჩეხეთში ქართული დესანტი გვყავს — ორივე ყოფილი ამერელია, თუმც ერთად არასოდეს უთამაშიათ. ტატანაშვილ-განუგრავადან თავისი კლუბის ძირითადში თამაშის უკეთესი შანსი დიმას აქვს, თუმც ტესტ-მატჩში „განუც" კარგად გამოიყურებოდა.

ილია ნანოგაშვილი

დიმიტრი ტატანაშვილი (მარჯვნივ) პლზენელთაგან ერთ-ერთი საუკეთესო იყო

ყაზანი ამუხრუჭებს, გვაზავა ისევ პირველი ლუჩელია

ქართული ლეგიონის რუსული და უკრაინული ამბები „რუბინის“ მორიგი ფრით დავიწყოთ: ყაზანელებმა სტუმრად 1:1 ითამაშეს „ლუჩ-ენერგიასთან“ და მართალია, ისევ ლიდერები არიან, მაგრამ ასე თუ გააგრძელეს, მდევრები მალე გადაუსწრებენ.

„რუბინიდან“ ლაშა სალუქვაძემ სრულად ითამაშა, დავით კვირკველია და ნუკრი რევიშვილი კი მინდორზე არ გასულან. „ლუჩ-ენერგიაში“ კვლავ ლევან გვაზავა გამოირჩეოდა — სწორედ მისი პასით გახსნეს ანგარიში მასპინძლებმა და როცა ლევანი შეცვალეს, სტუმრებმა მალევე გაათანაბრეს.

ნალჩიკის „სპარტაკი“ სტუმრად ჰერმის „ამკარს“ უგოლოდ გაეყარა. ყაბარდოელთა სამივე ქართველი (დავით სირაძე, ალეკო ამისულაშვილი და გოგიტა გოგუა) ძირითადში იყვნენ და ბოლომდე ჩაამთავრეს მატჩი. სტუმართაგან ყველაზე აქტიური გოგუა გახლდათ, სირაძე კი ყვითელ ბარათს გამორჩა.

უკრაინაში კახა მჟავანაძემ შეუცვლელად ითამაშა „ჩერნომორეცში“, მისიანებმა კი 3:0 სძლიეს კარპატს“. „დნიპრომ“ „ლვოვს“ 1:0 აჯობა, თუმც ჯაბა კანკავას ტრავმის გამო არ უთამაშია, სანდრო კობახიძე კი დუბლებში გაისარჯა და გოლიც შეაგდო — მან მეორე ტაიმის შუაში გახსნა ანგარიში, შემდეგ თანაგუნდელმა მეორეც მიაყოლა და მატჩიც 2:0 დასრულდა.

ილია ნანოგაშვილი

ნალჩიკელი გოგიტა გოგუა ჰერმში ყველაზე აქტიური იყო

ბოლქვაძე ამხანაგობაში ძალიან ძლიერია

აზერბაიჯანულმა „სიმურგმა“ ქართული შეკრება მოიარა, ქართველი ფეხბურთელებიც წაიყვანა და თავისი ქვეყნის ჩემპიონატისთვის აზერბაიჯანში ემზადება.

მორიგ საკონტროლო მატჩში „სიმურგმა“ 2:1 მოუგო „გაბალას“ და ერთი გოლი დავით ბოლქვაძემ გაიტანა.

აღსანიშნავია, რომ ბოლქვაძეს თითქმის ყველა საკონტროლო მატჩში გააქვს ბურთი და რა იქნება ჩემპიონატში, მალე გამოჩნდება.

მის გარდა, „სიმურგში“ კახა ჩხეტიანმა, მიხეილ მახვილაძემ და გრიგოლ დოლიძემ ითამაშეს.

მიხეილ ჟორჟოლიანი

ბაბლო კეკელიძის ფოტო

ფული თქვი, თორემ დონე კი არის

საქართველოს ნაკრების ყოფილი მეკარე სოსო გრიშიკაშვილი ახლახან გადავიდა სომხურ „მიკაში“. სოსო ბოლოს „დინამოში“ თამაშობდა, სადაც ფეხი ვერ მოიკიდა ძირითადში და „ბორჯომში“ გაანათხოვრეს, თუმც სომხეთში გადასვლა არჩია და ალბათ არც უნანია.

გრიშიკაშვილი „მიკაში“ ორი დღის მისული იყო, როდესაც კარში ჩადგომა მოუწია — „ბანანცთან“ მატჩში ძირითადი მეკარე აკოფიანი შეცვალა და, გუნდი რამდენჯერმე გარდაუვალი გოლისგან იხსნა. სომხებმა ჩვენებურს უმალ ინტერვიუ ჩამოართვეს...

— „მიკაში“ როგორ მოხვდით?

— ლევან ნოდიამ მომიწვია. დამირეკა, ამიხსნა სიტუაცია და მეც დავთანხმდი.

— როგორია პირველი შთაბეჭდილება?

— ნორმალური, ერთი შეხედვით ყველაფერი რიგზეა.

— „მიკაზე“ რას იტყვით?

— აქ ახლახან მოვედი და კონკრეტულს ვერაფერს მოგახსენებთ. ვითამაშე „ბანანცის“ წინააღმდეგ და გეტყვით, რომ თანაბარი დონის გუნდები არიან. დანარჩენი გუნდების დონე არ ვიცი და ამიტომ თავს შევიკავებ შეფასებისგან. პირველი შეხედულება ჩემს ახალ გუნდზე კი დადებითია.

— საქართველოს ნაკრებში ისევ თამაშობთ?

— ადრე ვთამაშობდი, 4-5 წელია, აღარ მქონია ამის შესაძლებლობა.

— რა არის ამის მიზეზი?

— მიზეზი ბევრია. ჯერ ტრავმებმა შემაწუხა და ნაკრებში ადგილი დავკარგე. ამასობაში ახალგაზრდა თაობა მოვიდა.

— ბოლო დროს სომხეთში ბევრი ქართველი ფეხბურთელი გადმოვიდა სათამაშოდ. რატომ?

— საქართველოში შედარებით ცუდი პირობებია, ამიტომ მოდიან. და არა მარტო სომხეთში — ყაზახეთში, ბელარუსიაში, მოლდოვაში... ქართველი ფეხბურთელები ცდილობენ, სხვაგან წავიდნენ სათამაშოდ.

— ცუდი პირობები როგორ გავიგოთ?

— ცოტას უხდიან.

— ფეხბურთი რა დონეზეა საქართველოში?

— საკმაოდ მაღალ დონეზე. საქართველოში ტალანტები მუდამ იყვნენ. ამას იმიტომ არ ვამბობ, რომ ქართველი ვარ. ჩემპიონატიც დაძაბული და საინტერესოა, მაგრამ მერწმუნეთ, იქაურ პირობებში ცხოვრება შეუძლებელია.

— კონტრაქტი როგორი პირობებით გააფორმეთ?

— კონტრაქტი წლის ბოლომდეა. ვიცხოვრებ ქალაქის ცენტრში, ბინაში, რომელიც კლუბმა მომცა.

— მარტო იცხოვრებთ?

— არა, მყავს მეუღლე და გოგონა. ოღონდ ჯერ არ ჩამომიყვანია.

— რას საქმიანობს მეუღლე?

— მეუღლე შვილს ზრდის.

— მანამდე სომხეთში ნამყოფი იყავით?

— „რაზდანზე“ თქვენი ნაკრების წინააღმდეგ ვითამაშე. საკლუბო დონეზეც მითამაშია სომხეთში.

— სადებიუტო მატჩში კარგი შთაბეჭდილება დატოვეთ...

— ვცდილობდი, შეცდომები არ დამეშვა, თუმც ვფიქრობ, რომ მაღალ დონეზე არ მითამაშია.

ვილაპარაკოთ შექსპირის ენაზე

ბაბლო კეკელიძის ფოტო

ყარაგანდის „შახტიორში“ მოთამაშე სამი ქართველიდან ყაზახურ გუნდს ერთი, ლაშა ნოზაძე შემორჩა. ერთი თვის წინ ჩვენებური ტრანსფერზე დააყენეს და მეორე გუნდში გადაისროლეს, მაგრამ ყარაგანდელებს მისი დახმარება ისევ დასჭირდათ და უეფას თასის თამაშებისთვის ძირითადში დააბრუნეს.

უნგრულ „დებრეცენთან“ მატჩში ნოზაძე ყველაზე გამორჩეული და აქტიური იყო, თუმც იგი ყოველთვის „შავი სამუშაოთი“ არის დაკავებული.

ნოზაძემ კარგი თამაშით ყაზახი ჟურნალისტების ყურადღებაც მიიქცია...

— ჩემპიონატის და საერთოდ, ცხოვრების დონე ყაზახეთში უფრო მაღალია, ვიდრე საქართველოში — ასე დაიწყო საუბარი ნოზაძემ — ყაზახურ ფეხბურთში გაცილებით დიდი ფული ტრიალებს.

— „შახტიორს“ უკვე შეეჩვიე? თვლი თავს გუნდის ლიდერად?

— არა. ლიდერი გუნდის კაპიტანი ოლეგ კორნიენკოა. გყვავს დიდებული მეკარე დავით ლორიაც.

— ლორიაზე ყაზახეთში ჩამოსვლამდე თუ გსმენია?

— არათუ მსმენია, მინახავს კიდეც. 2005 წელს საქართველო — ყაზახეთის ორივე მატჩი ვნახე — ალმათის, ტელევიზორში, თბილისში კი სტადიონზე ვიყავი. ლორიამ ჩვენი ნაკრების ერთ-ერთ ლიდერ გიორგი დემეტრაძეს პენალტი აუღო და მატჩი 0:0 დამთავრდა. მაშინ ვხუმრობდით, ქართველმა როგორ არ გაგვატანინაო.

— ლორია კარგად ლაპარაკობს ინგლისურად, თქვენი გიორგი ლომაიაც პოლიგლოტად ითვლება. ეს ქართველ მეკარეებს სისხლში აქვთ?

— მინდვრის მოთამაშეებიც არ ჩამორჩებიან. ნახევარი გუნდი შექსპირის ენაზე საუბრობს. მეც ვიცი ინგლისური, ერთი წელი ამერიკაში ვცხოვრობდი.

— ამერიკაში ფეხბურთს თამაშობდი?

— ვსწავლობდი. ფეხბურთს შტატის ლიგაში ვთამაშობდი.

— ყაზახეთში დიდხანს აპირებ დარჩენას?

— წინააღმდეგი არ ვარ. „შახტიორი“ ამბიციური გუნდია. ყარაგანდაში თავისუფალი და მხიარული ვარ.

— მხიარული?

— დიახ. გუნდში ბევრია ისეთი, ვისაც ბრწყინვალე იუმორის გრძნობა აქვს, მაგალითად, ყაზახეთის ნაკრების თავდამსხმელი მურატ სუიმაგომბეტოვი. ის ყოველთვის პოზიტიურ განწყობაზეა. მეც, ქართული ხასიათიდან გამომდინარე, ვცდილობ, არ ჩამოვრჩე.

ისრაელმა საქართველოს იტალიაც ჩაუმწარა და იმედებიც

2 აგვისტო

იტალია 63:80 საქართველო

22:19 15:19 15:20 11:12

საქართველო: გულისაბედაშვილი (4), წივწივაძე (18), გაფრინდაშვილი (13), შენგელია (10), შერმადინი (23); პირველაშვილი, ცეკვავა, მათიაშვილი (2), ფაცაცია

3 აგვისტო

საქართველო 80:83 ისრაელი

17:25 25:19 23:21 15:19

საქართველო: წივწივაძე (11), გულისაბედაშვილი (11), გაფრინდაშვილი (7), შენგელია (23 ქულა, 10 მოხსნა), შერმადინი (21 ქულა, 13 მოხსნა, 8 დაფარება), მათიაშვილი (6), ცეკვავა, პირველაშვილი, ფაცაცია

ძალიან არ გაუმართლა საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებს. რიგაში მიმდინარე ევროპის ჩემპიონატზე დავით უსტიაშვილის გუნდმა ერთ-ერთი მთავარი სენსაცია მოახდინა იტალიის ნაკრების დამარცხებით, მაგრამ საბოლოოდ ისე აღმოჩნდა, რომ ეს გმირული გამარჯვება საკმარისი არ აღმოჩნდა ჯგუფიდან გასასვლელად. ჩვენები ჯგუფური ეტაპის ბოლო ტურში ისრაელთან დამარცხდნენ და ებრაელებთან პირადი წაგების გამო ჯგუფში ჩარჩნენ.

თურქეთთან სადებიუტო წაგების შემდეგ ალბათ ცოტა თუ ელოდა, უსტიაშვილის გუნდი იტალიას რომ მოერეოდა. როგორც ჩანს, ჩვენებმა კარგად გამოიყენეს აპენინელებთან ამასწინანდელი სპარინგი და იტალიელები ისე დაამარცხეს, რომ მეტოქისთვის შანსიც არ მიუციათ.

ქართველებმა პირველი მეოთხედი კი წააგეს (19:23), მაგრამ მერე ამოქმედდნენ და ლიდერობა რომ მოიპოვეს, თამაშის ბოლომდე ხელიდან არ გაუშვიათ. გიორგი შერმადინი გახლდათ ჩვენების მთავარი დამრტყმელი ძალა, რომელმაც თამაშიდან პირველი 6 სროლა ჩააგდო და როცა პერიმეტრიდან ბექა წივწივაძემ და გიორგი გაფრინდაშვილმაც გაისწორეს მიზანი, იტალიელებს საქმე ცუდად წაუვიდათ. უსტიაშვილის გუნდმა პირველი ტაიმი 38:37 მოიგო და შესვენების შემდეგ ხელი ლიდერობის გამყარებას მიჰყო.

ერთადერთი საფრთხე ლორენცო დერკოლისგან მოდიოდა, რომელიც ყველაზე აქტიური იყო იტალიელთაგან და რავინდარა ადგილებიდან ემუქრებოდა ჩვენს კალათს. მისი აქტიურობით 9 ქულით დაწინაურებული ქართველების ლიდერობა ორამდე შემცირდა, თუმცა ისევ შერმადინმა და წივწივაძე-გაფრინდაშვილის დუეტმა იყოჩაღა, რომლებმაც იმდენი ქულა მოუპოვეს უსტიაშვილის გუნდს, რომ საფინალო წუთები დაძაბულობის გარეშე გაილია და მატჩი, რა თქმა უნდა, ქართველთა გამარჯვებით დასრულდა.

„ჩვენთვის დიდი წარმატებაა ისეთი მდიდარი საკალათბურთო ტრადიციების მქონე ქვეყნის დამარცხება, როგორიც იტალიაა — თქვა ნამატჩევს დავიტ უსტიაშვილმა — მატჩის უმეტესობა ვლიდერობდით, შეხვედრა ჩვენი კარნახით მიმდინარეობდა და საბოლოოდ კარგი საჩუქარი მივიღეთ.ვეცდებით, ხვალ ისრაელიც დავამარცხოთ და მომდევნო ჯგუფურ ეტაპს ბონუსით შევხვდეთ“

აი, ისრაელთან კი აღარ გაუმართლათ ჩვენებს. არადა, ისეთი ჩამორჩენა გაუბათილეს აღთქმული მიწის შვილებს, რომ გამარჯვება მათზე ალალი იყო. სანამ საქართველოისრაელი დაიწყებოდა, ჩვენი ჯგუფის დარჩენილმა ორმა ბინადარმა ითამაშა. იტალიამ ჯგუფის პირველობაგანაღდებული თურქეთი დაამარცხა და ქართველებს საქმე გაურთულდათ, რაკი დამარცხების შემთხვევაში ჯგუფში რჩებოდნენ. ხოლო თურქეთს რომ მოეგო, ქართველები ისრაელთან 11 ქულთ დამარცხების შემთხვევაშიც გადიოდნენ მომდევნო ეტაპზე, მაგრამ...

ერთი სიტყვით, იტალიამ რის ვაივაგლახით, 66:63 დაძლია თურქული ბარიერი და ქართველები ისრაელს შეატოვა. თამაში საინტერესო გამოვიდა, განსაკუთრებით მისი ბოლო მეოთხედი. ძირითადად ისრაელი ლიდერობდა, მაგრამ ქართველები მეოთხედის დასრულებისკენ ახერხებდნენ გათანაბრებას.

გაიჭრებოდნენ ებრაელები წინ, დაეწეოდნენ ქართველები. განსაკუთრებით მარჯვობდა ნოდარ შენგელია, რომელმაც საბოლოოდ 23 ქულასა და 10 მოხსნას მოუყარა თავი. თუმცა სტატისტიკა უფრო შთამბეჭდავი გიორგი შერმადინს ჰქონდა, ვინაც ევროკალათბურთისთვის არნახულად ბევრი, 8 დაფარება მიითვალა, რასაც 21 ქულა და 13 მოხსნაც მოაყოლა.

ბოლო მეოთხედის წინ ფრე იყო, მაგრამ ებრაელებმა 9 ქულით დაწინაურება მოახერხეს — 77:68. თამაშის დასრულებამდე ხუთ წუთზე ოდნავ მეტი რჩებოდა და ქართველების სიტუაცია გამოუვალს ჰგავდა, მაგრამ უსტიაშვილის ბიჭებმა ლამის შეუძლებელი შეძლეს. შენგელიასა და ბექა წივწივაძის ქულებით სამწუთიან მონაკვეთში 9:0 გაქცევა მოაწყვეს და ანგარიში გაათანაბრეს — 77:77.

ებრაელები ორქულიანს აგდებენ, რასაც წივწივაძე ანალოგიურით პასუხობს და საფინალო სირენამდე წუთნახევრით ადრე ისევ ყაიმია. შერმადინი საჯარიმოს ხაზზე დგება, მაგრამ მხოლოდ ერთს აგდებს და ჩვენები დასრულებამდე 55 წამით ადრე ბოლო მეოთხედში პირველად წინაურდებიან.

გამარჯვება ახლოსაა, მაგრამ ქართველებს ჯალათად გალ მექელი ევლინება, რომელიც სირენამდე 20 წამით ადრე სამქულიანს აგდებს და უსტიაშვილის გუნდს წელში ტეხავს. გიორგი გულისაბედაშვილმა კი ესროლა გადამრჩენელი სამიანი, მაგრამ ააცილა და იმავ მექელმა ზუსტი ჯარიმებით წერტილი დაუსვა ქართველების შეუპოვრობას.

მიუხედავად ჯგუფში ჩარჩენისა, ქართველებს A დივიზიონში თავის შენარჩუნების შანსი შერჩათ. სხვა ჯგუფების 3 ბოლოადგილოსანთან ერთად ქართველები ახალ ჯგუფს შექმნიან და ორი უსუსტესი B დივიზიონში ჩაქვეითდება. აი, ქართველების მეტოქეებიც: სპერძნეთი, სლოვენია და ბულგარეთი.

ირაკლი პერტაია

ირაკლი პერტაია

იტალია	3	2	1	198:200	5
თურქეთი	3	2	1	207:181	5
ისრაელი	3	1	2	216:224	4
საქართველო	3	1	2	201:118	4

გიორგი გულისაბედაშვილმა და დანარჩენმა ქართველებმა იტალიელები კი შეაჩერეს, მაგრამ ისრაელს ბევრიც ვერაფერი დააკლეს

კოკოშკოვის არნახული სერბმა შვიდი დაითხოვა და დათხოვილს ელის

გუშინ საქართველოს ნაკრების მწვრთნელმა იგორ კოკოშკოვმა ეროვნული გუნდის კანდიდატები გაცხრილა. საქართველოში მოთამაშე 7 კალათბურთელს მადლობა გადაუხადა და დიღმის ბაზაზე ჩატარებული საღამოს ვარჯიშის შემდეგ დაემშვიდობა.

სანამ მათ ვინაობას გაგაცნობდეთ, გეტყვით, რომ ნაკრების გაფართოებული შემადგენლობა 31 ივლისს შეიკრიბა და მას წესით საქართველოში მოთამაშე კალათბურთელები უნდა დასწრებოდნენ. თუმცა რამდენიმე ლეგიონერმა, რომლისთვისაც შეკრება 5 აგვისტოს იწყებოდა, ადრიანად ისურვა კოკოშკოვთან ვარჯიში და ეს დღეებია, საზღვარგარეთ მოთამაშე ნიკოლოზ ცქიტიშვილი, ტატო ვაშაკიძე, სერგო ათუაშვილი და გიორგი ცინცაძე დიღომში „აქაურებთან“ ერთად იდენდნენ ოფლს.

გუშინდლამდე სულ 17 კალათბურთელი იყო კოკოშკოვის განკარგულებაში, თუმც, როგორც გითხარით, წუხანდელი ვარჯიშის შემდეგ სერბი მწვრთნელი 7 კანდიდატს დაემშვიდობა. აი, ისინიც:

მიხეილ ჩიტაშვილი, ვახტანგ მინაშვილი, მიხეილ ჭოჭუა, თორნიკე ნინაშვილი, მიხეილ ფანწულიძე, ტატო ვაშაკიძე და რევაზ დიდა.

შესაბამისად, შეკრებაზე ეს მოთამაშეები დარჩნენ: კოტე ტულუში, ლაშა გამყრელიძე, ბესიკ ლეჟავა, ზვიად ბაბიაშვილი, ანატოლი ბოისა, ვიქტორ სანიკიძე, მიხეილ ბერიშვილი და თავში ნახსენები ლეგიონერები: ათუაშვილი, ცქიტიშვილი და ცინცაძე.

გუშინ თბილისში ჩამოვიდა და ბაზაზე მივიდა ვლადიმერ ბოისა, რომელიც დღეს ნაკრების დანარჩენ კანდიდატებთან ერთად სამედიცინო შემოწმებას გაივლის და 5 აგვისტოდან უკვე სრულფასოთანი შეკრება დაიწყება. დღეს ჩამოვა ჩვენი ნაკრების ნატურალიზებული უკანახაზელი, ამერიკელი ტაირონ ელისიც და ნაკრებიც ერთი გამონაკლისის გარდა სრულად შეიკრიბება.

ეს ერთი, ზაზა ფაჩულიაა, რომელიც კოკოშკოვს პირადი პრობლემების გამო დაეთხოვა. „ატლანტა ჰოუქსის“ ქართველი ცენტრი კოკოშკოვმა 17 აგვისტომდე გაათავისუფლა. სხათა შორის, ეს პირველი შემთხვევაა სანაკრებო ისტორიაში, რომ შეკრება მხოლოდ ერთი მოთამაშის გარეშე იწყება... 2-3 ლეგიონერი მუდმივად აკლდა ხოლმე ჩვენს ეროვნულ გუნდს მოსამზადებელ პერიოდში და უმეტეს შემთხვევაში, დაგვიანებულები ნაკრებს მატჩამდე ბოლო დღეებში უერთდებოდნენ.

შემადგენლობას არ ეხება, მაგრამ სანაკრებო სიახლეა და გეტყვით: ხვალ ეროვნული გუნდის ახალი სპონსორის პრეზენტაციაა

ირაკლი პერტაია

კადეტებმა ბელარუსი გაიჯახუნეს

საქართველო 86:66 ბელარუსი

20:17 19:13 24:17 23:19

საქართველო: მეტრეველი (20), ჩიკვილაძე (20), თავართქილაძე (12), მაისურაძე (9), ჯგერენაია (6), ძიძიგური (4), ჩაჩიბაია (4), ტომარაძე (4), შენგელია (3), ლომაური (2), შარაბიძე (2)

საქართველოს ჭაბუკ კალათბურთელთა ნაკრებმა დასახული ამოცანა რომ ვერ შეასრულა და A დივიზიონი ჯერაც ოცნებად დაგვირჩა, ეს ძველი ამბავია. ახალი კი ისაა, რომ გუშინ მიხეილ კობეშავიძის გაწვრთნილმა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის ბოლო თამაშში ბელარუსს დამაჯერებლად 20 ქულის სხვაობით მოუგო და 20 ნაკრებს შორის მე-13 ადგილი დაიკავა.

ჩვენებიდან ნიკა მეტრეველი და ბექა ჩიკვილაძე გამოირჩნენ 20-20 ქულით. თვითონ თამაში კი ისე წარიმართა, რომ ქართველთა უპირატესობა ეჭვქვეშ ერთხელაც არ დამდგარა.

ელიტაში გადასასვლელი ბრძოლა კი მომავალში მოგვიწევს და იმედი ვიქონიოთ მაშინ მაინც მივაწევთ მიზანს...

ლეჭსო მაისურაძე

ქართველთა მსოფლიო ვერცხლით დამთავრდა

ოქრო რუსებმა წაგვართვეს



თურქეთში მიმდინარე მოჭიდავეთა ახალგაზრდულ ჩემპიონატზე პირველი დღეები ქართველთათვის კარგი ვერ გამოდგა. ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ბიჭებმა კინკილა მედალიც კი სანატრელი გაიხადეს. ყველაზე ახლო ბრინჯაოსთან უჩა შავაძე (60 კგ) იყო და მან გადამწყვეტი შეხვედრა დათმო... „ანტიკოსთა“ ასეთი ჩავარდნა უფრო გადაღლილობას უნდა დაბრალდეს, რადგან ახლახან ევროპის ჩემპიონატი დამთავრდა, რომელშიც ორივე ნაკრები — „ანტიკოსებიც“ და „თავისუფლებიც“ — წარმატებით გამოვიდნენ.

ამ უქმეებზე კი თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა დრო დაიდგა და ნუგზარ სხირელის გაწვრთნილებმა ქართველ ქომაგს გუნება გამოუკეთეს.

ჩვენებიდან ყველაზე მეტად ბექა ჭელიძე (84) გამოირჩა ფინალში გავიდა, მანამდე კი ეს მოჭიდავეები წააქცია: ინდოელი კუმარ ნერეში, ლატვიელი ანტან აზარევიკი, აზერბაიჯანელი ასლანბეგ ალბოროვი. ფინალში გადასასვლელი შეხვედრა ამერიკელ მაიკ ლეტსს მოუგო და ოქროსთვის ბრძოლა რუს აბდუსალამ გადისოვს გაუმართა და სამწუხაროდ დამარცხდა...

ამ უქმეებზე ვლადიმერ ხინჩეგაშვილმა და გიორგი მარსაგიშვილმა ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს. ხინჩეგაშვილი მართლა სასწაულებს ჩადის. ამ ბიჭმა წელს იუნიორთა და ახალგაზრდათა შორის ევროპაში საუკეთესოს გვირგვინი ხომ დაიდგა და ახლა მსოფლიოზეც იყოჩაღა.

თავიდან ინდონეზიელი იოლანდა პუტრა წააქცია, მერე ვენესუელელ იერი რამონ რივეროს დაეჭიდა და მასაც მოუგო. მეოთხედფინალში კი, სამწუხაროდ, მასპინძელ აჰმეთ პეკესთან, მომავალ ფინალისტთან, წააგო და დამამშვიდებელში განაგრძო ბრძოლა, რომელშიც ირანელ ფარზად ჯაფარის მოუგო და ბრინჯაოს ფინალში უზბეკ ოზეკ კმალოვს სძლია.

გიორგი მარსაგიშვილმა (74 კგ) ყაზახ რუსლან რაზბეკოვს მოუგო და მერე რუს მაგომედ ზუბაიროვთან დამარცხდა, თუმც რუსმა საჩემპიონო სვლა განაგრძო და ჩვენებური თანგაიყოლა. გიორგიმ ბრინჯაოსთვის ჭიდილში უკრაინელ მაქსიმ მალივგინს და ინდოელ რანა სინგჰს აჯობა და გადამწყვეტი შეხვედრა, მარსაგიშვილის მსგავსად, უზბეკ სპორტსმენ არტიომ პრისიაჟნიკს მოუგო.

გიორგი მაყაშვილმა (60 კგ), რომელმაც ევროპის ჩემპიონატი ახლახან მოიგო, ავსტრიელ მერდად თარაშს აჯობა, რუსი ტიმურ პესტეროვიც დაჩაგრა და მეოთხედფინალში მომავალ ფინალისტ, კუბელ ალეხანდრო ტოხიერ ვალდესთან დამარცხდა. ამის მერე სლოვაკ რობერტ ოლეს კი მოუგო, მაგრამ ბრინჯაოსთვის ბრძოლა უკრაინელ ლუბომირ შიმაკთან წააგო...

გიორგი ჩიქოვანმა (96 კგ) ბერძენი თეოდოროუდისი წააქცია ირანელ კომიელ გასემოსთან დამარცხდა, რომელმაც, თავის მხრივ, ვეღარ მოიგო და ქართველი სანუგეშოში არ გაუშვა.

კვირას თურქულ ხალიჩაზე კიდევ სამი ქართველი გავიდა: დავით ბერძენიშვილმა (55 კგ) ცუდად დაიწყო, პირველივე წრეში წააგო უზბეკ ფერუზ ნუზრატოვთან. მერე უბზეკიც გამოეთიშა ბრძოლას და...

ზაურ აბრამიშვილმა საწყის წრეში დაისვენა. ავსტრიელ ნიკოლას პორიოტი და ტაჯიკი ივნატი ანდროსოვი დაჩაგრა და მეოთხედფინალში მოლდოველ მოჭიდავესთან ევგენი ნედეალკოსთან წააგო.

მძიმეწონოსანმა ლევან ბერიანიძემ ბრინჯაოს მედალი მოიგო. ირანელ ამირ გაშემოს აჯობა. ამას კუბელ გამაჩოსთან მარცხი მოაყოლა და სანუგეშოში უკვე ყველა დაჩაგრა: გერმანელ ნიკ მატუჩინის ძლევის შემდეგ მედლისთვის ბრძოლაში ინდოელ ჰიტეშს აჯობა.

ლეონო მასურაძე

საქა-რთველო პეკინს ნახევარფინალით იწყებს

ავსტრიის ქალაქ კლაგენფურტში დასრულდა „დიდი სლემის“ ბოლო ეტაპი პლაჟის ფრენბურთში, სადაც ჩვენმა წყვილმა საქა-რთველომ ნახევარფინალს უწია და იქ დაძაბულ ბრძოლაში დამარცხდა უკრაინულ დუეტთან. არადა, ჩვენებურებმა ჯგუფურ ეტაპზე მხოლოდ ერთი შეხვედრის მოგება შეძლეს. მათ პირველ მატჩში იტალიელების — ჯიორიას და მომოლის დაჯაბვნას სამი სეტი მოანდომეს — 21:19, 19:21, 15:12. საქა-რთველომ შემდეგი ორი შეხვედრა კი წააგო, მაგრამ იტალიელებთან მოგება საკმარისი აღმოჩნდა ჯგუფიდან გასასვლელად. ჯგუფში ჩვენების დამმარცხებლები კი ჩეხური წყვილი — ნოვაკოვა-ტობიასოვა და ბრაზილიური ტანდემი — ჯულიანა-ლარისა იყვნენ.

პლეი ოფის პირველ წრეში, ჩვენმა გოგონებმა ჯერ ტურნირის მე-3 ნომრად განთესილი ბრაზილიელები — ანტონელი და ლეპო ჩამოიშორეს გზიდან — 15:21, 12:21; მეორე რაუნდში ბელგიელებს — ვან ბრეედამის და მოუჰასაც გაუსწორდნენ — 21:18, 16:21, 16:14.

მესამე რაუნდში კრისტინას და ანდრეზას (საქა-რთველო) ბრაზილიელები, პირველ ნომრად განთესილები — ჯულიანა და ლარისა ტრამვის გამო არ გამოუცხადდნენ.

ნახევარფინალურ შეხვედრის პირველ სეტში ჩვენებურებმა უკრაინელებთან — ბაბურინა-ოშეიკოსთან წააგეს — 21:15, მეორე სეტში დაძაბულ ორთაბრძოლაში გაიმარჯვეს — 19:21, ხოლო მესამე, გადამწყვეტ სეტში თავიდან ანგარიშში დაწინაურდნენ, მაგრამ მსაჯის უხეში შეცდომების გამო წააგეს — 12:15. მესამე ადგილისთვის მატჩში საქა-რთველომ უწინდელი შემართება ვეღარ გამოიჩინა და დამარცხდა გერმანულ ჰოლდვიკ-სემლერის ტანდემთან.

ამავე ტურნირზე კაცთა წყვილმა რენატომ და ჟორჟმა (გეორ-გია) ასპარეზობა ძირითად ბადეში დაიწყო. ჯგუფური ეტაპს დაძლევის შემდეგ, პირველ შეხვედრაში ჩვენებურებს ავსტრიული (შახტი-სლაკი) წყვილი არ გამოუცხადდა. მომდევნო მატჩში გეორ-გიამ ბრაზილიური ტანდემი — ჰარლი და პედრო გაანადგურა — 18:21, 14:21. მეოთხედფინალში მე-6 ნომრად განთესილი ჩვენები მე-19 ნომრებთან, ახალზელანდიურ (ლიჩელ-პიტმან) დუეტთან ჭიდილში დამარცხდნენ — 19:21, 21:19, 6:15.

ახლა გეორ-გია და საქა-რთველო უკვე პეკინის გზაზე იქნებიან და ოლიმპიადისთვის ადგილზევე გაივლიან 10 დღიან შეკრებას.

ზურაბ მიგრიაული

მსოფლიოს V ჩემპიონატი ვადო-რიუ კარატეში

ქართული მავაშიგერი პორტუგალიაში

25-27 ივლისს პორტუგალიურმა ბრაგამ უმასპინძლა მსოფლიოს მეხუთე ჩემპიონატს ვადო-რიუ კარატეში, სადაც კარატეს ტრადიციული სახეობის 26 ქვეყნის ნაკრები მონაწილეობდა.

ჩვენი დელეგაცია 14 კაცის შემადგენლობით გაემგზავრა მსოფლიო ჩემპიონატზე, რომელსაც საქართველოს ვად-რიუ კარატე-დო ფედერაციის პრეზიდენტი მიხეილ მახარაძე და ვიცე-პრეზიდენტი თენგიზ კარანაძე ხელმძღვანელობდნენ.

საქათრველოს ნაკრებიდან 11-მა სპორტსმენმა მიიღო მონაწილეობა, რომლებც სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფებში ასპარეზობდნენ.

მსოფლიოს ჩემპიონატი სამი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა. პირველ დღეს ასპარეზობა ჩატარდა ინდივიდუალურ კარატეში, მეორე დღეს — ინდივიდუალურ კუმიტეში, ხოლო ბოლო, მესამე დღეს — ჩემპიონატის ყველაზე პრესტიჟულ გუნდური კუმიტეს კატეგორიებში.

ჩემპიონატის პირველ დღეს საქართველოს მხოლოდ 3 მონაწილე ჰყავდა ინდივიდუალურ კარატეში და მათ სასახელოდ უნდა ითქვას, რომ სამივე ფინალში გავიდა.

საბოლოოდ ჩვენმა გუნდმა ორი მედალი მოიპოვა.

თამარ მახარაძე (16-17) ვერცხლი და თენგიზ ქუთათელაძემ (12-13) ბრინჯაო.

ასპარეზობის მეორე დღეს თერთმეტივე სპორტსმენი ჩაება ინდივიდუალურ კარატეში. ჩვენი ნაკრების წევრებმა თავი არ დაზოგეს და საკმაოდ კარგი შედეგი აჩვენეს: თენგიზ ქუთათელაძე (12-13) +160 სმ — ბრინჯაო; ნიკა მამაგულაშვილი (12-13) +160 სმ — ვერცხლი; ნოდარ კარანაძე (12-13) -160 ვერცხლი; თორნიკე მამაგულაშვილი (14-15) -170 სმ — ვერცხლი; გვანცა ყიფ იანი (16-17) +55 — ვერცხლი; თეონა გიორგაძე (12-13) +160 — ოქრო.

ჩემპიონატის მესამე დღე გუნდურ კუმიტეს დაეთმო, რომელიც 4 ასაკობრივ ჯგუფში ჩატარდა. გუნდურ კუმიტეში მონაწილეობა ყველაზე პრესტიჟულად ითვლება კარატეში და ამიტომაც ის ყოველთვის ჩემპიონატის ბოლო დღეს ტარდება. საქათრველოს ნაკრები ასპარეზობაში ორი გუნდით წარსდგა 12-13 წლის ვაჟებით და 16-17 გოგონებთ, ორივე გუნდმა ბრწყინვალედ იასპარეზა და ფინალურ ორთაბრძოლებში ჩემპიონატის ერთ-ერთი უძლიერესი გუნდი ინგლისის ნაკრები დაამარცხა და ოქროს მედლებს დაეუფლა.

მსოფლიოს ჩემპიონები გუნდურ კუმიტეში გახდნენ:

12-13 წლის ვაჟები: ნოდარ კარანაძე, ნიკა მამაგულაშვილი, თენგიზ ქუთათელაძე; 16-17 წლის გოგონები: თეონა გიორგაძე, თამარ მახარაძე, გვანცა ყიფიანი, თეონა კაპანაძე.

საერთო ჯამში საქართველოს ნაკრებმა საკმაოდ მაღალი შედეგი აჩვენა და 10 მედალი მოიპოვა, აქედან: 3 ოქროს, 5 — ვერცხლის და 2 — ბრინჯაოს.

აღნიშვნის ღირსია ის ფაქტიც, რომ მსოფლიო ჩემპიონატის მსვლელობისას დამტკიცდა მომავალი მე-14 ვადო-რიუ კარატეს ევროპის ჩემპიონატის ჩატარების ადგილი და თარიღი, რომელიც საქართველოში, თბილისში, 2009 წლის 9-11 ოქტომბერს ჩატარდება.

ორი სოფოს წყვილი მარცხი

სოფო ქვაცაბაია

სოფო მელიქიშვილმა აშშ-ის ქალაქ სენტ ჯოზეფში მიმდინარე საჩოგბურთო ტურნირზე სამი თამაში მოიგო და ფინალში გადასასვლელ შეხვედრაში დამარცხდა.

სოფომ თავიდან მე-4 ნომრად განთესილ ამერიკელ მეგან მულტონ ლევის 6:3, 3:6, 2:6 მოუგო და მერე ჩეხ პეტრა სადალიკოვას გადაეყარა, ვისაც 2:6, 6:3, 6:2 აჯობა. მეოთხედფინალში ჩვენებურმა ჩიკიუ პსუ 6:3, 1:6, 6:1 დაჩაგრა, ნახევარფინალში კი ბრიტანელ ემილი უებლი-სმიტთან ვერფერი გააწყო — 2:6, 6:3, 2:6.

მელიქიშვილისგან განსხვავებით, ფინალში გავიდა სოფო ქვაცაბაია, ოღონდ წყვილებში, რუს აუგუსტა ტიხიჩევასთან ერთად. 10 ათას დოლარიანი ტურნირი მაროკოს ქალაქ რახატში მიმდინარეობდა. ქართველისა და რუსის ტანდმი ფინალში მესამე ნომრად განთესილ მასპინძელ ელ ადმანის და იტალიელ საზინოს წყვილთან დამარცხდა — 0:6, 3:6.

ლექსო მაისურაძე

ბევრი ქართული თურქობა

თურქეთში საკმაოდ წარმომადგენლობითი ტურნირი მიმდინარეობს მოჭადრაკეთა შორის, სადაც 22 ქვეყნის 400-მდე მოჭადრაკეა თავმოყრილი.

მე-4 ტურის შემდეგ ლიდერთა შორის არიან ლევან ფანცულაია და მერაბ გაგუნაშვილი. მათ შესაბამისად თურქმენი ჰანდზარ ოდეევი და ბულგარელი სპას კოჟუზაროვი დაამარცხეს და 4-4 ქულას მოუყარეს თავი. სხვა ქართველებიდან 3,5 ქულა აქვთ: ვალერიან გაფრინდაშვილს, ნინო ბატიაშვილის და მაკა ფურცელაძეს. 3 ქულა შეაგროვა: ბელა ბოტენაშვილმა, გიორგი ბაღათუროვმა, თამარ ხმიადაშვილმა და ანა გავაშელმა. თამარ წერეთელს და თეონა მესხს ოდენ 2 ქულა აქვთ.

საბერძნეთის საერთაშორისო ტურნირზე კი ვერ ყოჩაღობენ სხვა ქართველები 3 ქულით სხვებთან ერთად მე-6 35-ე ადგილებს იყოფენ თამაზ გელაშვილი და მალხაზ სულაშვილი. დანარჩენი ჩვენებურები ლიდერებს საგრძნობლად ჩამორჩებიან.

ლექსო მაისურაძე

ამ პრობლემებს მოგიხსნით

ტრიმოლი

ქალბატონ მარიკოს ფორმულა

ცხელება, შაკიკი, თავის ტკივილი, კბილის ტკივილი, სახსრების ტკივილი, მენსტრუალური ტკივილი, ნევრალგია, ცხელებით მიმდინარე ინფექციურ-ანთებითი დაავადებები.



რეგისტრაციის № R0003702

- სიცხის დამწევი
- ტკივილგამაყუჩებელი
- ანთების საწინააღმდეგო

ავანტა ფარმა ლიმიტედი – ინდოეთი

ტრიმოლი

PSP ჩემი ოჯახის აფთიაქი
აღმაშენებლის გამზ. 148/ა

ყურადღებით გაეცანით სამკურნალო საშუალების გამოყენების ინსტრუქციას

სამი ერი. მეოთხე ტური

ავსტრალიის შავი დღე

როცა „ოლ ბლექსს“ უკან დასახევი გზა არ აქვს, დანდობა არ იქნება

2 აგვისტო. ოკლენდი

ახ. ზელანდია 39:10 ავსტრალია

ახალი ზელანდია: მულიაინა, კაპუი, სმიტი, ნონუ, სივივატუ; კარტერი, კოვანი; სოოიალო, მაკოუ (კაპ), კაინო, უილიამსი, სორნი, სომერვილი, ჰორი, ვუდკოკი

სათადარიგოები: მეალამუ, აფოა, ბორიკი, ტომსონი, ვეეპუ, დონალდი, ტუიტავაკე

4 ლ: ვუდკოკი (2), ნონუ (2); 2 გ: კარტერი; 5 ს: კარტერი

ავსტრალია: ეშლი-კუპერი, ჰინსი, მორტლოკი (კაპ), ბერნსი, თუქირი; ჟიტუ, ბურგესი; პალუ, სმიტი, ვუ, შარპი, ჰორველი, ბაქსტერი, მური, რობინსონი

სათადარიგოები: პოლოტა-ნაუ, დენინგი, ვიკერმანი, მაკმენიმანი, კორდინგლი, კროსი, მიტჩელი

1 ლ: ეშლი-კუპერი; 1 გ: ჟიტუ; 1 ს: ჟიტუ

სამი ერის ყველაზე ტიტულიან წევრ ახალ ზელანდიას მანამდე სამი თამაშიდან ორი წაეგო — შინ სამხრეთ აფრიკასთან სტუმრად კი ავსტრალიასთან და უკან დახევის უფლება აღარ ჰქონდა. 2 აგვისტოს შინ ოკლენდში ან დაამარცხებდა მეზობელ ავსტრალიას ან დაკარგავდა სამი ერის მოგების შანსს და მასთან ერთად მწვრთნელ გრემ ჰენრის, რომელსაც გუნდში მაინცდამაინც არ ემდურიან, მაგრამ გუნდსგარეთ ყველა აკრიტიკებს — პრემიერ-მინისტრ ელენ კლარკით დაწყებული, სარაგბო სკოლაში ახალმისული ბავშვით დამთავრებული.

ამ თამაშით კი გრემ ჰენრიმ დროებით მაინც ჩააჩუმა კრიტიკოსები, მისმა შეგირდებმა წელს ყველაზე დამაჯერებელი შეხვედრა ჩაატარეს და ავსტრალიას პირველი მარცხი აგემეს. შერკინებამ იდეალურად იმუშავა, განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ მეორეხაზელი ალი უილიამსი და დაბრუნებული მესამეხაზელი კაპიტანი რიჩი მაკოუ, რომლებმაც სისხლი გაუშრეს წინა თამაშში მათ დამჩაგრავ ავსტრალიელ მორკინალებს. მატჩის გმირი კი კიდევ ერთი ზელანდიელი მორკინალი გახდა. ბურჯ ტონი ვუდკოკს მანამდეც გაუტანია ძალისმიერი ლელოები, ახლა კი მან ერთბაშად ორჯერ გამოიჩინა თავი. პირველად მასპინძელ მორკინალთა მიძალების დროს შეგლიჯა სტუმართა დაცვის ბოლო მწკრივი, მეორედ კი ავსტრალიელთა ლელოს სიახლოვეში მისიანებმა აუტი მოიგეს, ბურთი ჩამოუგდეს და ვუდკოკმაც დერეფანი კარაქივით გაჭრა.

ახალი ზელანდია ამ ორი ლელოს შემდეგ 18:3 დაწინაურდა. ავსტრალია ცდილობდა, მეტოქეს არ ჩამორჩენოდა, მაგრამ მორკინალებს ძალიან აკლდათ როკი ელსომი და სიხისტე არ ჰყოფნიდათ. სტუმართა ერთადერთი ლელო ისევ უკანახაზელებმა მოინადირეს, როცა გრძელი პასით ზელანდიელი მბოჭავები თამაშგარედ დატოვეს და სტირლინგ მორტლოკის პასით ადამ ეშლი-კუპერმა ლელო გაიტანა, მეტ ჟიტუმ კი გარდასახა. ავსტრალიამ 7 ქულა გაქვითა და 10:18 ანგარიშზე თამაშის გადარჩენის შანსი დაიბრუნა, მაგრამ ამის მერე ზელანდიელებმა ქულაც არ ააღებინეს, თავად კი 21 ქულა დააგროვეს და წელს სამ ერზე სარეკორდო სხვაობითაც მოიგეს.

პირველი ტაიმის ბოლოს ახალ ზელანდიას დენ კარტერმა შემატა მორიგი სამი ქულა, მეორე ტაიმი კი „შავების“ ლელოთი დაიწყო, რომელიც მათმა „კაციჭამია“ შუამარბმა მაა ნონუმ გაიტანა. ნონუ ერთ-ერთი საუკეთესო იყო ამ საინტერესო თამაშში, ავსტრალიური დაცვის ცენტრს — გამხდარ ბერიკ ბარნსდა წინა მატჩებში დაჩეხილ ვეტერან მორტლოკს მაგრად აწვალებდა. მან მეორე ლელოც გაიტანა თანაც მატჩის მეორე დამატებულ წუთზე და ახალ ზელანდიას პრემიალური ქულაც აჩუქა, რომელიც შეიძლება გადამწყვეტიც გახდეს ტურნირის ბოლოს. მეორე ტაიმში ნონუს ლელოებს შორის კი კარტერმა კიდევ ორი საჯარიმო გაიტანა, მათ შორის ერთი მაშინაც კი, როცა ფეხი დაუცდა და წონასწორობა დაკარგა. მან ამ თამაშში 9-დან 7 დარტყმა შეასრულა ზუსტად და დაამტკიცა, რომ მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო დამრტყმელია.

ამ გამარჯვებით ახალმა ზელანდიამ სამი ერის მოგების შანსი კი დაიბრუნა, მაგრამ ეს შანსი არც ავსტრალიას აქვს დაკარგული და არც სამხრეთ აფრიკას. სამი ერი ორი კვირით დაისვენებს და ტურნირი 16 აგვისტოს კეიპტაუნში განახლდება, სადაც სამხრეთ აფრიკა ჯერ ახალ ზელანდიას მიიღებს, შემდეგ კი ზედიზედ ორჯერ უმასპინძლებს ავსტრალიას.

ზურაბ მიგრიაული

დენ კარტერმა ავსტრალიელები დააწოყა

პეკინში საცობებია: ქუჩებშიც, ინტერნეტშიც

პეკინის ოლიმპიადის საორგანიზაციო პრობლემებზე არაერთი ათასი სიტყვა ითქვა და საგაზეთო სტატია დაიწერა, ახლა კი ორგანიზატორებს ყველაფრის ცოცხლად გამოცდა მოუხდათ. შაბათს, 2 აგვისტოს, ანუ ოლიმპიადის გახსნამდე ექვსი დღით ადრე, ორგკომიტეტმა ყველაფრის შემოწმება განიზრახა და, ასე ვთქვათ, გენერალური რეპეტიცია ჩაატარა.

ოლიმპიადის პირველი დღის რეალისტურმა ინსცენირებამ გვარიანად დააშინა ორგკომიტეტი. უზარმაზარი პრობლემები შეიქმნა სატრანსპორტო სექტორში. ყველასათვის გასაგები ენით რომ ვთქვათ, ჩინეთის დედაქალაქი ერთ უზარმაზარ საცობს დაემსგავსა და ქალაქის ჩრდილოეთ რაიონში, მთავარი ოლიმპიური სტადიონისკენ, ეგრედ წოდებული „ჩიტის ბუდისკენ“ მიმავალმა ათეულობით ათასმა მოქალაქემ დანიშნულების ადგილამდე ვერ მიაღწია. ბევრი ავტომობილი რამდენიმესაათიან საცობში გაიჩხირა და ოლიმპიური ტყვეობიდან თავის დაღწევა მხოლოდ ამ რეპეტიციის დასრულების შემდეგღა შეძლო, ანუ „ჩიტის ბუდისკენ“ 29-ე ოლიმპიური თამაშების გახსნის ცერემონიაზე მიმავალმა ბილეთების ათასობით მყიდველმა ამ წარმოსახვით სიტუაციაში ვერ შეძლო გახსნაზე მისვლა და რა იქნება ნამდვილ გახსნაზე, ეს ალბათ მაო ძე დუნის სულმაც არ უწყის.

რეპეტიცია ძალზე რეალისტური იყო. ორგანიზატორებმა ყველა ბილეთის მფლობელს სთხოვეს, სტადიონზე ისე წასულიყვნენ, როგორც მათ მოეხასიათებოდათ, თან ურჩიეს, საზოგადოებრივი ტრანსპორტი გამოიყენეთ და შეძლებისდაგვარად უარი თქვით საკუთარ ავტომობილებზეო. მაგრამ ხალხს მანქანებით მგზავრობა „მოეპრიანა“ და ოლიმპიური ობიექტებისკენ მიმავალ მაგისტრალებზე თვალის დახამხამებაში საცობები შეიქმნა. მდგომარეობა გაართულეს ფეხით მოსიარულეებმაც. მათ იმხელა ნაკადი შექმნეს, რომ პოლიციას „ჩიტის ბუდისკენ“ მიმავალი ხიდის გადაკეტვა მოუხდა. მაშინ ქვეითებმა ავტომობილებით ჩახერგილ მაგისტრალებს მიაშურეს და კიდევ უფრო ჩაჭედეს ქალაქის შენობების შუა ისედაც უძრავად გაჩხერილი საცობი. ბევრმა მძღოლმა ორსაათიანი ლოდინის შემდეგ საკუთარი ავტო მიატოვა და ფეხოსნებს შეუერთდა. მოკლედ, დიდი დომხალი იყო და ვნახოთ, რა იქნება 8 აგვისტოს.

შეიქმნა სხვა სახის, ანუ არასატრანსპორტო პრობლემებიც, კერძოდ, საინფორმაციო სექტორში. ჟურნალისტები ინტერნეტის სიჩქარეს, უფრო ზუსტად, „სინელეს“ უჩივიან. რამდენიმე ვებგვერდი კი ჩინეთის შესაბამისმა უწყებებმა საერთოდ დაბლოკეს. როგორც იტყობინებიან, ჩინეთში ოლიმპიადის მსვლელობისას შეუძლებელი იქნება ამერიკული გვერდის „თავისუფლების ხმის“ გახსნა. მართალია, მანამდე დაბლოკილი BBC და კიდევ რამდენიმე მანამდე შერისხული ვებგვერდი გაიხსნა, მაგრამ ჩინეთის სპეცმოსამსახურეებს ბევრი ისევ დალუქული აქვთ. და ისეც, ბევრი ჟურნალისტი ჩივის, რომ ზოგადად ინტერნეტი ძალზე ნელია. და ხშირ შემთხვევაში მისით სარგებლობა პრაქტიკულად შეუძლებელია. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა ჟაკ როგმა ჟურნალისტებს აღუთქვა, ამ პრობლემას მოვაგვარებთო. მაგრამ ინტერნეტის უწყვეტობის იმედი ყველამ დაკარგა.

ვანო კოგბიაშვილი

შარუნას იასიკევიჩუსი და კობი ბრაიანტი

ამერიკული ოცნება და ჩინური იმედები

ამერიკელები კმაყოფილები აღევნებენ თვალყურს თავიანთ ნაკრებს, რომელიც ამხანაგურ, ამერიკულად რომ ვთქვათ, საგამოფენო მატჩებში იოლად ამარცხებს მეტოქეებს და ოლიმპიადის წინ დამაჯერებლობას მატებს საკუთარ თავსაც და ქომაგებსაც.

„დრიმ თიმს“ 2000 წლის სიდნეის ოლიმპიადის შემდეგ არ მოუგია არცერთი დიდრონი ტურნირი და პეკინში გეგმავს უძლეველის რეპუტაციის აღდგენას, მით უფრო, რომ ეს გუნდი ყველაზე იდეალურია, რაც კი ამერიკელებს უკანასკნელ 12 წელიწადში შეუკრებიათ.

12-ვარსკვლავიან სიაში განსაკუთრებით კობი ბრაიანტის სახელი ყვირის, რომელმაც ყველა საგამოფენო თამაში თავგამოდებით ჩაატარა და განსაკუთრებით სულ ბოლოს ლიტვასთან მატჩში დაამტკიცა, რომ მუშაობა არ ეზარება. კობი დაცვაში საიმედოდ ირჯებოდა და ლიტველთა ლიდერ შარუნას იასიკევიჩუსს გასაქანს არ აძლევდა. იასიკევიჩუსს ყოველთვის კარგად გამოსდიოდა ამერიკელების წინააღმდეგ თამაში (ეგაა, რომ ნბა-ში ვერ დაიმკვიდრა თავი) — სიდნეიში ნახევარფინალში 27 ქულა ჩაუგდო „ოცნების გუნდს“ და თავის ლიტვას თითქმის მოაგებინა, ხოლო ოთხი წლის შემდეგ ათენში 28 ქულა გააკეთა და ბალტიისპირეთის ციცქნა ქვეყნის ნაკრებს 94:90 დაამარცხებინა გიგანტი ამერიკა.

მაგრამ ახლა იასიკევიჩუსს არაფერი გამოუვიდა ბრაიანტის წინააღმდეგ. ბოლო სეზონის გამოკითხვის მიხედვით ნბა-ს საუკეთესო მოთამაშემ მას ხელები შეუკრა და რამდენჯერმე აწაპნა ბურთი. სულ ბრაიანტს, ისევე როგორც მეორე სუპერვარსკვლავ ლებრონ ჯეიმსს, 5 ჩაჭრა მოუგროვდა. ამერიკელებმაც დაცვაში თამაშით გატეხეს ლიტველები და საბოლოოდ 120:84 აჯობეს.

„კობი ჩვენი ყველაზე საიმედო დამცველია“ — თქვა ნამატჩევს კარლოს ბუზერმა.

აშშ-ს ნაკრები კიდევ ორ საგამოფენო მატჩში დახვეწს თამაშს, 10 აგვისტოს კი მასპინძელ ჩინეთთან შეხვედრით გახსნის ოლიმპიადას.

ემზადება ჩინეთიც, ვისაც პირველ რიგში თავის 226-სანტიმეტრიან გმირ იაო მინის იმედი აქვს. მინმა რამდენიმე თვის წინ ოპერაცია გადაიტანა, მაგრამ ახლა ფორმაშია და სრული დატვირთვით თამაშობს. მისი ლიდერობით ოლიმპიადის მასპინძლებმა რამდენიმე დღის წინ მოუგეს აფრიკის საუკეთესო გუნდ ანგოლას, მაგრამ შემდეგ უშანსოდ, 55:72 დამარცხდნენ ოლიმპიადის კიდევ ერთ მონაწილე ავსტრალიასთან, სადაც იაო მინმა მხოლოდ 14 ქულა გააკეთა და გვარიანად შეაშფოთა გულშემატკივართა მილიარდიანი არმია.

ვანო კოგბიაშვილი

არტესტი ჰიუსტონში

„ჰიუსტონ როკეტსმა“ ხელში ჩალის ფასად ჩაიგდო „საკრამენტო კინგზის“ ლიდერი რონ არტესტი. ტეხასელებმა მის სანაცვლოდ მხოლოდ სათადარიგო უკანახაზელი ბობი ჯეკსონი და ხურდაში ორი უსახელო მოთამაშე გაიღეს, სამაგიეროდ მიიღეს ლიგაში ერთ-ერთი ყველაზე სისხლისმსმელი პერსონალური მეურვე, რომელიც თავს მხოლოდ მაშინ გრძნობს ბედნიერად, როცა მის ხელში სხვა არაა ბედნიერი.

არტესტმა სახელი „ინდიანაში“ გაითქვა, როცა ამ გუნდს 2004 წლის ზაფხულში აღმოსავლეთის ფინალში გასვლაში დაეხმარა, მაგრამ იმავე წელს შემდეგი სეზონის დაწყებიდან ორიოდ კვირაში ხაზი გადაუსვა თავის ნათელ მომავალს, როდესაც დეტროიტში „პისტონზთან“ შეხვედრაში ჯერ „რკინის კაც“ ბენ ვოლესს ეჩხუბა, რამდენიმე წუთში კი „დეტროიტის“ ლამის მთელ ფანკლუბს ხელდახელ შეება და საშინელი ქუჩური დაკა-დაკას მოწყობისთვის მთელი სეზონით იქნა დისკვალიფიცირებული.

მას მერე აგერ მერამდენე წელია, თითქოს ნემსებზე ზისო, არტესტი ვერაფრით პოულობს სპორტულ სიმშვიდეს. „ინდიანადან“ „საკრამენტოში“ გაიქცა, მაგრამ გული იქაც მხოლოდ ორიოდ წელი დაუდგა და მერე ისევ ადგილის გამოცვლა მოიწადინა, თანაც „საკრამენტომ“ დაკარგა წამყვანი გამთამაშებელი მაიკ ბიბი და ძველი ამბიციის უკანასკნელი ნაპერწკალი.

არტესტის „ჰიუსტონში“ მისვლას ჩინეთიდან მიესალმა ამ გუნდის ერთ-ერთი ლიდერი იაო მინი, ვინაც ახლა სამშობლოშია და პეკინის ოლიმპიადისთვის ემზადება. „ყოველთვის კარგია, გუნდში ძლიერი მოთამაშე რომ მოდის. იმედია, კარგი თანაგუნდელები და მეგობრები ვიქნებით“ — დიპლომატის ტაქტით შემოთვალა იაომ.

ვანო კოგბიაშვილი



ნელსონმა კუბანს 6,3 მილიონი მოუგო

„გოლდენ სტეიტ უორიორზის“ მწვრთნელმა დონ ნელსონმა სასამართლო პროცესი მოუგო „დალას მავერიკსის“ მფლობელ მარკ კუბანს და კანონის ძალით მისგან 6,3 მილიონს მიიღებს.

ოდესღაც ესენი თანამოაზრეები და უახლოესი მეგობრები იყვნენ, 1997-2005 წლებში ნელსონი „დალასს“ რომ წვრთნიდა. კუბანმა 2005 წელს დაითხოვა ნელსონი და გუნდი მის ასისტენტ აივერი ჯინსონს ჩააბარა (წლეულს ესეც გაუშვა). ბრაზიანი მოხუცი ნელსონი კი თავის ძველ გუნდ „გოლდენ სტეიტში“ დაბრუნდა და ეს 12 წლის განმავლობაში უმაქნისი „ბანდა“ პლეი ოფში გაიყვანა, თანაც იქ სუპერფავორიტი „დალასი“ დაამარცხებინა. მაშინ კუბანმა ნელსონს ბრალი დასდო, მაგან ჩვენზე ყველაფერი იცის და კონფიდენციალური ინფორმაციის ჩვენს წინააღმდეგ გამოყენების უფლება არ ჰქონდაო. მწვრთნელმაც უჩივლა ყოფილ შეფს და მის რამდენიმემილიარდიან ქონებას 6 მილიონი ჩამოაჭრა, მით უფრო, რომ ნელსონი იმასაც ამბობდა, კუბანს ჩემთვის ბოლომდე არ გადაუხდია ხელფასიო.

საინტერესოა, ამ სასამართლო გარჩევის დროს ვისი მხარე ეკავა დონ ნელსონის ვაჟს, უმცროს დონ ნელსონს, რომელიც მამის „დალასიდან“ წასვლის შემდეგ ამ გუნდში დარჩა და დღემდე მაღალი თანამდებობა უკავია „მავერიკსში“.

ვანო კოგბიაშვილი

გამოცხადებული გადატრიალების ქრონიკა

ნადალი ორ კვირას მოიცდის, იანკოვიჩი კი ერთს

კაცები
მასტერსი
ცინცინატი. აშშ. ჰარდი
საპრიზო 2 615 000 დოლარი

მეოთხედფინალი

ივო კარლოვიჩი (ხორვატია) — **ფილიპ კოლშრაიბერი** (გერმანია) 7:6 7:6; **ენდი მიურეი** (8, ბრიტანეთი) — **კარლოს მოია** (ესპანეთი) 2:6 6:3 6:1; **რაფაელ ნადალი** (2, ესპანეთი) — **ნიკოლას ლაპენტი** (ეკვადორი) 7:6 6:1; **ნოვაკ ჯოკოვიჩი** (3, სერბეთი) — **ერნესტ გულბისი** (ლატვია) 6:3 6:4

ნახევარფინალი

მიურეი — კარლოვიჩი 6:4 6:4; ჯოკოვიჩი — ნადალი 6:1 7:5

რაფაელ ნადალის გაპირველება გადაიდო, თუმც მხოლოდ ორიოდ კვირით. ესპანელის რეიტინგის სათავეში მოქცევა დროის საკითხიღაა და ეს 18 აგვისტოს ასრულდება კიდეც. არადა, მალიორკელს უკვე დღესვე შეეძლო როჯერ ფედერერის ტახტიდან ჩამოგდება, რისთვისაც მას ცინცინატიში გაჩემპიონება სჭირდებოდა, მაგრამ ნოვაკ ჯოკოვიჩმა რაფას არ დაანება სურვილის ერთბაშად ასრულება და თავისი სიტყვა მაინც თქვა.

წაგების მიუხედავად, ესპანელი ფედერერის ადგილს მაინც დაიკავებს. და აი, რატომ — ოლიმპიადის გამო ტორონტოსა და ცინცინატის მასტერსები დაგეგმილზე ორი კვირით ადრე გაიმართა და რადგანაც შვეიცარიელმა შარშან ამ ამერიკულ ქალაქში იჩემპიონა, ამ ორკვირიან ინტერვალში მას სარეიტინგი ქულები შეუნარჩუნდება. თუმც წლეულს ნაადრევად წაგებისთვის 18 აგვისტოს, ანუ შარშნდელი ტურნირის წლისთავზე, შვეიცარიელს აუცილებლად ჩამოაკლდება ქულები და ნადალიც სწორედ მაშინ ავა უმაღლეს საჩოგბურთო მწვერვალზე.

ჯოკოვიჩი კი ხანრგძლივი დუმილის შემდეგ, როგორც იქნა, ჩაერია საჩოგბურთო ელიტაში მიმდინარე პროცესებში. წლის დასაწყისში ავსტრალიის ღია პირველობის მოგების შემდეგ ბევრს ეგონა, რომ ბალკანელი სეზონის დარჩენილ ნაწილშიც დიდ როლს ითამაშებდა, მაგრამ ნოვაკი კარგა ხანს ჩუმად იყო. ბურთი და მოედანი კი ნადალს დარჩა, რომელმაც სათიხნარო სეზონის დაწყებიდან მოყოლებული, ნამდვილი დევნა მოუწყო ფედერერს და, როგორც ხედავთ, მიზანს უწია კიდეც, მიუხედავად იმისა, რომ ეს რეიტინგზე ოდნავ მოგვიანებით აისახება.

ჯოკოვიჩმა კი გუშინ მართლაც მაღალი დონის ჩოგბურთი ითამაშა და ესპანელი პირწმინდად დაჩაგრა. განსაკუთრებით ეს პირველ სეტს ეხება, როდესაც ნოვაკმა მეტოქეს საშუალება არ მისცა სწრაფად ეპოვა რიტმი და ადვილადაც იხეირა. მეორე პარტიაში მალიორკელმა კი შეძლო თამაშის მეტ-ნაკლებად გამოსწორება, მაგრამ ბევრს ვერაფერს გამორჩა და თითქმის სამთვიანი გამარჯვებათა ძალზედ სოლიდური, 32-მატჩიანი სერიის შემდეგ პირველად დამარცხდა.

„დაუმარცხებელი, რა თქმა უნდა, არავინაა, მაგრამ რაფა ბოლო ხანებში ისე თამაშობდა, რომ ამაზე ბევრმა დავიწყეთ ფიქრი. თუმც დღევანდელი მატჩის წინ ვეცადე, ამისთვის ყურადღება არ მიმექცია და ჩემი საუკეთესო ჩოგბურთი მეჩვენებინა. ვგონებ, გამომივიდა“ — განაცხადა ჯოკოვიჩმა ნამატჩევს.

ნადალი კი ორ კვირაში ბოლოს მოულებს ფედერერის ოთხწელიწადნახევრიან ბატონობას და მესამე ესპანელად იქნება, რომელიც მსოფლიოს პირველი ჩოგნის სტატუსს დაიმსახურებს. აქამდე იგივე მხოლოდ კარლოს მოიასა და ხუან-კარლოს ფერეროს გაუკეთებიათ.

„რა თქმა უნდა, დიდი პატივია რეიტინგის სათავეში მოქცევა. ეს ხომ ერთი ტურნირის მოგება არაა — ეს ნიშნავს, რომ დროის გაცილებით დიდ მონაკვეთს ატარებ უმაღლეს დონეზე. ეს მთელი გაწეული შრომის ანაზღაურებაა და მართალია, მოცდა კიდევ მომიწევს, მაგრამ უკვე ძალიან ბედნიერი ვარ. თუმც ახლა ამით დატკბობის დრო არ არის, რადგანაც მალე ოლიმპიადა იწყება და ამისთვის სრულიად მზად უნდა ვიყო“ — საქმიანი იყო ნადალი.

ჯოკოვიჩის ასეთი გამოცოცხლება კი ფრიად სანიშნო უნდა იყოს მთელი საჩოგბურთო სამყაროსთვის — პეკინში ეს სერბი ოქროს უმთავრეს თუ არა, ერთ-ერთ ყველაზე რეალურ კანდიდატად ჩავა.

ცინცინატის მასტერსის ტიტულს კი ბალკანელს ენდი მიურეი შეეცილება. ახალგაზრდა ბრიტანელმა ძალიან დამაჯერებლად მიჩოგნა ფედერერის გამამწარებელი ივო კარლოვიჩი და აყლაყუდა ხორვატი სრულიად უშანსოდ დატოვა.

ჯოკოვიჩ-მიურეის შორის კი უპირატესობა სერბს აქვს — ხუთი შეხვედრიდან ნოვაკმა ოთხში იმარჯვა. მეორეს მხრივ, ბრიტანელმა ერთი კვირის წინ ტორონტოში ჩატარებულულ მათ ბოლო ჯახში იხეირა, რაც ცინცინატიშიც ძალიან კარგ დალამაზ ფინალს გვპირდება.

ნოვაკ ჯოკოვიჩმა როჯერ ფედერერის მეფობა ორი კვირით გაახანგრძლივა

ქალები
მონრეალი. კანადა. ჰარდი
საპრიზო 1 340 000 დოლარი

მეოთხედფინალი

ვიქტორია აზარენკა (11, ბელარუსი) — **ტამირა პაფეკი** (ავსტრია) 6:4 7:5; **დინარა საფინა** (7, რუსეთი) — **სვეტლანა კუზნეცოვა** (4, რუსეთი) 2:6 6:3 6:2; **მარიონ ბარტოლი** (10, საფრანგეთი) — **აი სუგიამა** (იაპონია) 6:2 6:3; **დანიელა იანკოვიჩი** (2, სერბეთი) — **ელენა იანკოვიჩი** (2, სერბეთი) 4:6 6:4 6:3

ნახევარფინალი

საფინა — აზარენკა 6:0 2:6 6:3; ციბულკოვა — ბარტოლი 4:6 6:4 6:3

მალე ცვლილებები მოხდება ქალთა რეიტინგშიც. ელენა იანკოვიჩი სულ ცოტა ხანში თანამემამულე ანა ივანოვიჩს მსოფლიოს პირველი ჩოგნის ტიტულს ჩამოართმევს. თუმც სერბს, ნადალისგან განსხვავებით, სამაისოდ მხოლოდ ერთი კვირის მოცდა მოუწევს — ივანოვიჩს მონრეალში ნაადრევად წაგებისთვის ქულები მხოლოდ შემდეგ შვიდდღეულში ჩამოაკლდება და იანკოვიჩიც სწორედ ამის შემდეგ დაიკავებს თანამემამულის ადგილს.

რეიტინგების შემოლების შემდეგ იანკოვიჩი მხოლოდ მე-18 ჩოგბურთელი ქალი იქნება, ვინც უმაღლეს საფეხურზე მოახერხებს ასვლას და ისეთ წარმომადგენლებით კომპანიაში აღმოჩნდება, რომელშიც უკვე შედიან კრის ევერტი, ივონ გულაგონგკული, მარტინა ნავრატილოვა, ტრეისი ოსტინი, მონიკა სელეში, შტეფი გრაფი, არანჩა სანჩეს-ვიკარიო, მარტინა ჰინგისი, ჯენიფერ კაპრიატი, სერენა უილიამსი, ვინუს უილიამსი, ლინდსი დევენპორტი, ჟუსტინ ენინი, კიმ კლაისტერსი, მარია შარაპოვა, ამელი მორესმო და ანა ივანოვიჩი.

მონრეალურ ტიტულს კი ერთმანეთში დინარა საფინა და იანკოვიჩის მეოთხედფინალში გამამწარებელი დომინიკა ციბულკოვა გაითამაშებენ. რუსი მართლაც სასწაულ ფორმაშია და ბოლო 28 შეხვედრიდან 26-ში იხეირა — წინა კვირას კი ლოს ანჯელესში იჩემპიონა და ახლაც ფავორიტად მიიჩნევა.

ციბულკოვასთვის კი ეს მხოლოდ მეორე ფინალი იქნება — პირველად სატიტულო მატჩში გაზაფხულზე ითამაშა ამელია აილენდზე და იქ სხვა რუსისგან, შარაპოვასგან მიიჩოგნა.

რახან შარაპოვა ვახსენეთ, მასზეც გეტყვით ორიოდ სიტყვას — უკვე იცით, რომ მხრის ტრავმის გამო მაშა ოლიმპიადაზე ვერ ითამაშებს. გუშინ კი გაირკვა, რომ რუს პრიმას ლაზარეთში სამი თვის გატარება მოუწევს, რაც იმასაც ნიშნავს, რომ მაშა ვერც აშშ-ს ღია პირველობაზე გამოვა.

ქალები
პორტოროზი. სლოვენია. ჰარდი
საპრიზო 145 000 დოლარი

ნახევარფინალი

კაროლინ ვოზნიაკი (2, დანია) — **აგნიშკა რადვანსკა** (1, პოლონეთი) 6:4 6:1; **ვერა დუშევინა** (რუსეთი) — **კატარინა სრებოტნიკი** (3, სლოვენია) 6:1 6:2

ფინალი

ვოზნიაკი — დუშევინა 6:0 6:2

სტოკჰოლმში წვიმამ ყველაფერი აურია — გაშმაგებული ბუნების გამო შაბათს დაგეგმილი ნახევარფინალები არ ჩატარებულა. ტურნირის დასკვნითი მატჩების კვირას გამართვა ამიტომ გახდა საჭირო.

ამ არეულობით ყველაზე კარგად კაროლინ ვოზნიაკმ ისარგებლა, რომელსაც არ გასჭირვებია გუშინ ორი მატჩის გამართვა — დანიელმა ამომავალმა ვარსკვლავმა ჯერ ტურნირის უპირობო ფავორიტ აგნიშკა რადვანსკას გადაურბინა, იქიდან ორიოდ საათში კი ვერა დუშევინაც გადათელა და კარიერაში პირველი ტიტული დაისაკუთრა.

კახა ლომაშვილი

კლასიკური ვალვერდე

ალეხანდრო ვალვერდემ „ტურ დე ფრანსი“ ისევ ჩააგდო და ხალხს ათქმევინა, საინტერესოა, ეს ბიჭი ოდესმე თუ შეძლებს მასზე ჯერ კიდევ არმსტრონგის ეპოქაში გაცემული ავანსების განაღდებას და რომელიმე სუპერრბოლის თუნდაც ერთხელ მოგებასო.

ახლახანს დასრულებულ „ტურზე“ ვალვერდემ პირველი ეტაპი კი მოიგო და ორი დღით ლიდერის ყვითელი მაისურაც მოირგო, მაგრამ შემდეგ ველარაფერი გაახერხა და გენერალურ კლასიფიკაციაში ოდენ მეცხრე ადგილი დაიკავა. არადა, ალეხანდროს წლეულს, თითქოს დიდებული სეზონი აქვს, მაგრამ „ტურზე“ არც ამან გაჭრა და საერთოდაც, სუპერრბოლებში („ტური“, „ჯირო“, „ვუელტა“) სულ რაღაც აკლდება — „ჯიროზე“ ვალვერდე არც არასოდეს ყოფილა, „ტურზე“ ბოლო წლებში მუდმივად უმთავრეს ფავორიტთა შორის მოიხსენიება, მაგრამ ვერაფერს ახერხებს, ხოლო „ვუელტაზე“ ერთხელ მეორე და ერთხელაც მესამე ადგილი კი დაიკავა, მაგრამ პოდიუმის უმაღლეს საფეხურზე შედგომა ჯერაც ვერ მოახერხა.

წლეულს კი, „ტურს“ თუ არ ჩავთვლით, ვალვერდეს მართლაც მაგარი სეზონი აქვს — „მურსიის ვუელტა“, ერთდღიანი „პარიზი-კამემბერი“ და კლასიკური „ლიეჟი-ბასტონი-ლიეჟი“, პოპულარული „კრიტერიუმ დოფინი ლიბერე“ და ესპანეთის ჩემპიონატი ჯგუფურ რბოლაში — ყველა ეს შეჯიბრი ალეხანდრო ვალვერდეს გამარჯვებით დასრულდა და გასულ შაბათს კი ამ ჩამონათვალს „კაის დეპარნის“ მრბოლმა ერთიც მიამატა, კიდევ ერთი ერთდღიანი კლასიკური რბოლა, „სან სებასტიანის კლასიკა“ მოიგო.

227-კილომეტრიანი რბოლის ბოლოს ვალვერდემ საფინიშო საქმის გარჩევაში აჯობა დანიური CSC-ის რუს იგორ კოლობნევს, გერმანული „გეროლშტაინერის“ იტალიელ დავიდ რებელინს, ამ უკანასკნელის თანამემამულეებს, ბელგიური „ქვიკ სტეპის“ პაოლო ბეტინისა და იტალიური „ლიქუიგასის“ ფრანკო პელიცოტის.

აქ გამარჯვების შემდეგ ჩემს საოლიმპიადო შანსებს საკმაოდ ოპტიმისტურად ვაფასებო, ასე თქვა 5 საათს, 29 წუთსა და 11 წამს გაგრძელებული რბოლის შემდეგ ვალვერდემ, რომელიც სანსებასტიანური ტრიუმფის წყალობით პროტურის სერიის რეიტინგშიც დაწინაურდა.

სეზონის ბოლოსკენ ვალვერდე, როგორც ჩანს, სწორედ პეკინის ოლიმპიურ თამაშებზე აკეთებს აქცენტს, თუმც ოლიმპიადის გარდა წინ სექტემბერში გასამართი „ვუელტა“ და სულ ბოლოს კი მსოფლიოს ჩემპიონატია, რომელიც ალეხანდროს, მრავალგზის პრიზიორობას მიუხედავად, სუპერრბოლების არ იყოს, აქამდე აგრეთვე არ მოუგია.

ჰეიკის ტრიუმფი და ფელიპეს ტრაგედია

უნგრული სარბოლო უიქენდი თითქმის ისევე დაიწყო, როგორც ორი კვირის წინ გერმანული, არადა „ჰოკენჰაიმრინგსა“ და „ჰუნგარორინგს“ შორის უზარმაზარი სხვაობაა ტრასის, პრაქტიკულად, ყველა უმთავრესი მახასიათებლიდან გამომდინარე.

თუ პარასკევის ერთ თავისუფალ პრაქტიკას არ ჩავთვლით, არც პარასკევს და არც შაბათს, კვალიფიკაციისას, „მაკლარენ-მერსედესის“ ინგლისელ პილოტ ლუის ჰემილტონს, ისევე როგორც გერმანიაში, არც უნგრეთში ჰყოლია ბადალი. თავში კი სიტყვა თითქმის, ფერარელი ფელიპე მასას მიერ მოგებული ერთი თავისუფალი პრაქტიკისა და კიდევ იმის გამო ვთქვით, რომ კვალიფიკაცია „მაკების“ სრული ტრიუმფით დასრულდა. ანუ ჰემილტონის შემდეგ მეორე სასტარტო პოზიცია მისმა ფინელმა თანაგუნდელმა ჰეიკი კოვალაინენმა დაიკავა.

ჰეიკი იმდენად კმაყოფილი იყო ამ შედეგით, რომ ხვალ მხოლოდ გამარჯვებისთვის ვიბრძოლებო, ასე განაცხადა პრესკონფერენციაზე. ლუისმა უფრო გუნდურ საკითხებზე ისაუბრა: „ბოლო ხანებში უზარმაზარი სამუშაო გავწიეთ და შედეგი სახეზეა — დიდებულია, რომ პირველ რიგში მე და ჰეიკი ვიდგებით. გუნდში დიდებული ატმოსფერო სუფევს და იმედია, რბოლის შემდეგაც ასე იქნება“.

„მაკლარენის“ ბედნიერი და კმაყოფილი პილოტების ფონზე „ფერარის“ მრბოლები აშკარად დაძაბულები იყვნენ. მასამ და კიმი რაიკონენმა კვალიფიკაცია, შესაბამისად მესამე და მეექვსე შედეგით დასრულეს და ბუნებრივია, ამ პოზიციებით კმაყოფილნი ვერ იქნებოდნენ, თუმც იხტიბარს მაინც არ იტეხდნენ.

„კვალიფიკაციის მესამე სესიისას მანქანისგან მაქსიმუმი ვერ გამოვწურე და ეს ძალზე სამწუხაროა — განაცხადა მასამ — ძნელი იქნება, მაგრამ „მაკლარენის“ ხალხს მაგარ ბრძოლას გავუმართავ“. რაიკონენი კი, რომელმაც სწრაფი წრის გავლისას შეცდომა დაუშვა, სწორედ ამ შეცდომაზე ლაპარაკობდა, თუმც დანებებას არ ვაპირებ და იმედი მაქვს, მალე ძველ პოზიციებს დავიბრუნებო, ასე ამბობდა.

სიტყვის კაცი აღმოჩნდა ფელიპე მასა. ბრაზილიელმა დიდებულად დაიწყო რბოლა, მწვანე შუქის ანთებისთანავე გაუსწრო კოვალაინენს და პირველივე მოსახვევში ჰემილტონიც უკან ჩამოიტოვა. მასა წინ გაიჭრა და ლუისმა ერთი ხანობა კი სდია კუდში, მაგრამ მერე ბრაზილიელმა მოუმატა, სოლიდური უპირატესობა მიიღო, ხოლო როდესაც მეორმოცე წრეზე ჰემილტონის „მაკლარენს“ წინა მარცხენა ბორბალი გაეხვრიტა და ინგლისელმა დაუგეგმავად მიაკითხა ბოქსებს, მასას უპირატესობა უკვე უზარმაზარი გახდა — მეორე ადგილზე გადასული კოვალაინენი ბრაზილიელს თხუთმეტ წამზე მეტით ჩამორჩებოდა და თითქოს ყველაფერი ნათელი იყო, მაგრამ ფინიშამდე ათიოდე წრით ადრე ფელიპეს „ფერარიმ“ ტემპი დაკარგა, ჰეიკიმ ჩამორჩენა გაანახევრა და მაშინ კი, როდესაც ფინიშამდე სამი წრელა რჩებოდა, „ფერარის“ ბანაკი შოკში ჩავარდა — მასას ალისფერი „ბედაურის“ ძრავამ ბოლი გაუშვა.

და კოვალაინენიც სიტყვის კაცი ყოფილა — დიდად არ უბრძოლია, პრაქტიკულად, არავისთვის გაუსწრია, მაგრამ ზესტაბილურად იარა და კარიერის 28-ე რბოლაში პირველი გამარჯვება მოიპოვა.

უპირობოა, ვერც რაიკონენზე ვიტყვით. მეექვსე სასტარტო პოზიციაზე მყოფმა მსოფლიოს ჩემპიონმა ეგრეევე ფერნანდო ალონსოც გაატარა წინ და მეშვიდეზე დაიხია, მაგრამ მართლაც ბოლომდე იბრძოლა, გრძელი გზის თითქმის ორი მესამედი ალონსოს კუდზე ეჯდა, მეორე პიტ-სტოპისას გაასწრო კიდეც ესპანელს, ბოლო რვა რბოლაში მეშვიდედ აჩვენა წრეზე საუკეთესო დრო და მასას უიღბლობით გაოგნებული „ფერარი“ მაინც არ დატოვა პოდიუმს მიღმა.

ეგ კი არა, კინაღამ კიმიმ მეორე ადგილსაც კი უწია, მაგრამ „ტოიოტას“ ახალგაზრდა გერმანელმა ტიმო გლოკმა გმირულად დაიცვა თავისი პოზიცია, ბრწყინვალე რბოლა ჩაატარა და კარიერაში პირველად შედგა ფეხი პოდიუმზე.

ვერც ჰემილტონზე ვიტყვით აუგს. თავიდანვე კი დაკარგა მოწინავე პოზიცია და შემდეგ, საბურავის გახვრეტის გამო, სულაც მეათეზე დაქვეითდა, მაგრამ საბოლოო ჯამში მეხუთემ უწია ფინიშს და საერთო ჩათვლაში ლიდერობა შეინარჩუნა.

ქების ღირსნი არიან „რენოს“ მრბოლებიც — ალონსო მეოთხე იყო და პირველი, ავსტრალიური ეტაპის შემდეგ ორგზის ჩემპიონი ასე მაღლა პირველად ავიდა, ხოლო წინა, გერმანულ ეტაპზე კარიერის პირველი საპოდიუმე რბოლას ჩამტარებელმა ნელსინიო პიკემ მეექვსე ადგილი დაიკავა.

„აი, „BMW-ზაუბერმა“ უნგრული ეტაპი აშკარად ჩააგდო — ნიკ ჰაიდფელდი უკვე კვალიფიკაციისას ჩაფლავდა და საბოლოო ჯამში მე-10 ადგილით დაკმაყოფილდა, ხოლო რობერტ კუბიცა, ვინც ოთხიოდე ეტაპის წინ გენერალური კლასიფიკაციის ლიდერი იყო, ოდენ ერთ კინკილა ქულას დასჯერდა.

ბახა ლომაძე



ჰეიკი კოვალაინენი

ფორმულა 1-ს წარმოგიდგენთ
Mobil 1
SuperSyn
Mobil
1
0W-40
Protection Formula
Fully Synthetic Motor Oil
527 527 527
www.ibg.ge

ფორმულა 1. 59-ე მსოფლიოს ჩემპიონატი მეთერთმეტე ეტაპი

რბოლის შედეგები

უნგრეთის დიდი პრიზი
3 აგვისტო. ბუდაპეშტი
დისტანცია 70 წრე — 306,670 კმ

1(2). ჰეიკი კოვალაინენი (ფინეთი, „მაკლარენ-მერსედესი“)	
	1სთ.37წთ.27,067წმ. საშ სიჩქარე 188,814 კმ/სთ
2(5). ტიმო გლოკი (გერმანია, „ტოიოტა“)	+11,0 წმ
3(6). კიმი რაიკონენი (ფინეთი, „ფერარი“)	+16,8
4(7). ფერნანდო ალონსო (ესპანეთი, „რენო“)	+21,6
5(1). ლუის ჰემილტონი (ბრიტანეთი, „მაკლარენ-მერსედესი“)	+23,0
6(10). ნელსონ პიკე (ბრაზილია, „რენო“)	+32,2
7(9). იარნო ტრული (იტალია, „ტოიოტა“)	+36,4
8(4). რობერტ კუბიცა (პოლონეთი, „BMW-ზაუბერი“)	+48,3
9(8). მარკ ვებერი (ავსტრალია, „რედ ბული-რენო“)	+58,8
10(16). ნიკ ჰაიდფელდი (გერმანია, „BMW-ზაუბერი“)	+1.07.7
11(13). დევიდ კულტჰარდი (ბრიტანეთი, „რედ ბული-რენო“)	+1.10,4
12(12). ჯენსონ ბატონი (ბრიტანეთი, „ჰონდა“)	+1 წრე
13(17). კაძუკი ნაკაჯიმა (იაპონია, „უილიამს-ტოიოტა“)	+1
14(15). ნიკო როსბერგი (გერმანია, „უილიამს-ტოიოტა“)	+1
15(19). ჯანკარლო ფიზიკელა (იტალია, „ფორს ინდია-ფერარი“)	+1
16(18). რუბენს ბარიკელო (ბრაზილია, „ჰონდა“)	+2
17(14). სებასტიენ ბურდე (საფრანგეთი, „ტორო როსო-ფერარი“)	+3
რბოლას გამოეთიშნენ	
18(3). ფელიპე მასა (ბრაზილია, „ფერარი“)	გაიარა 67 წრე
19(20). ადრიან სუტილი (გერმანია, „ფორს ინდია-ფერარი“)	62
20(11). სებასტიან ფეტელი (გერმანია, „ტორო როსო-ფერარი“)	22

ფრჩხილებში — საკვალიფიკაციო ადგილი

პოული

ჰემილტონი	1 წთ 20,899 წმ (საშ. სიჩქარე 194,954 კმ/სთ)

საუკეთესო წრე

რაიკონენი	1 წთ 21,195 წმ (საშ. სიჩქარე 194,243 კმ/სთ)

Formula 1

		ავსტრალია 16 მარტი	მალაიზია 23 მარტი	ბაჰრეინი 6 აპრილი	ესპანეთი 27 აპრილი	მონაკო 11 მაისი	მონაკო 25 მაისი	კანადა 8 ივნისი	საფრანგეთი 22 ივნისი	გრიბანეთი 6 ივლისი	ბრიტანეთი 20 ივლისი	შვეიცარია 3 აგვისტო	ევროპა 24 აგვისტო	ბელგია 7 სექტემბერი	იტალია 14 სექტემბერი	სინგაპური 28 სექტემბერი	იაპონია 12 ოქტომბერი	ჩინეთი 19 ოქტომბერი	ბრაზილია 2 ნოემბერი	ჯამი
1	ჰემილტონი	10	4	—	6	8	10	—	—	10	10	4								62
2	რაიკონენი	1	10	8	10	6	—	—	8	5	3	6								57
3	მასა	—	—	10	8	10	6	4	10	—	6	—								54
4	კუბიცა	—	8	6	5	5	8	10	4	—	2	1								49
5	ჰაიდფელდი	8	3	5	—	4	—	8	—	8	5	—								41
6	კოვალაინენი	4	6	4	—	—	1	—	5	4	4	10								38
7	ტრული	—	5	3	1	—	—	3	6	2	—	2								22
8	ალონსო	5	1	—	—	3	—	—	1	3	—	5								18
9	ვებერი	—	2	2	4	2	5	—	3	—	—	—								18
10	გლოკი	—	—	—	—	—	—	5	—	—	—	8								13
	პიკე — 13, ბარიკელო — 11, ნაკაჯიმა, როსბერგი — 8-8, ფეტელი — 6, ბატონი — 3, ბურდე — 2 ქულა																			
1	ფერარი	1	10	18	18	16	6	4	18	5	9	6								111
2	მაკლარენი	14	10	4	6	8	11	—	5	14	14	14								100
3	BMW	8	11	11	5	9	8	18	4	8	7	1								90
4	ტოიოტა	—	5	3	1	—	—	8	6	2	—	10								35
5	რენო	5	1	—	—	3	—	—	3	3	8	8								31
	რედ ბული — 24, უილიამსი — 16, ჰონდა, — 14, ტორო როსო — 8 ქულა																			

სარბიელი: კრიკეტი

წარმოგიდგენთ

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		შვეიცარია. სუპერლიგა						
		4 აგვისტო						
22:00	15	ვოლენი-სტ.გალენი	2.75	3.10	2.30	1.45	1.25	1.32
		საფრანგეთი. II დივიზიონი						
		4 აგვისტო						
22:30	156	სტრასბური-მონპელიე	1.95	3.00	3.75	1.18	1.28	1.66
		ჩეხეთი. გამბრინუს ლიგა						
		4 აგვისტო						
19:15	191	ბოჰემიანსი -სიგმა	2.55	2.90	2.70	1.35	1.31	1.39
		სლოვაკეთი. I ლიგა						
		4 აგვისტო						
21:00	14	ტრნავა-ზლატე მორავცე	1.30	4.50	6.50	1.00	1.08	2.65
		შვედეთი. სუპერეტა						
		4 აგვისტო						
21:00	279	ბუნკეფლო-იორგრიტე	4.00	3.40	1.70	1.83	1.19	1.13
21:00	280	ვესბი-მიალბი	2.60	3.25	2.30	1.44	1.22	1.34
21:00	281	სირიუსი-დეგერფორსი	1.90	3.40	3.25	1.21	1.19	1.66

			1	X	2	1-X	1-2	X-2
21:00	282	იონკოპინგი-ატვიდაბერგი	2.50	3.25	2.35	1.41	1.21	1.36
21:00	283	ენჩიოპინგი-ლანდსკრონა	2.50	3.25	2.35	1.41	1.21	1.36
		დანია. სუპერლიგა						
		4 აგვისტო						
21:00	226	სიონდერიისკე-კოპენჰაგენი	8.00	4.70	1.30	2.96	1.11	1.01
		ნორვეგია. ტიპელიგა						
		4 აგვისტო						
21:00	242	მოლდე-ალესუნდი	1.80	3.40	3.50	1.17	1.18	1.72
		შვედეთი						
		ალსვენსკა						
		4 აგვისტო						
21:00	268	ჰელსინგბორგი-სუნდსვალი	1.40	3.75	6.00	1.01	1.13	2.30
21:00	269	ელფსბორგი-გაის	1.50	3.60	5.50	1.05	1.17	2.17
22:00	270	კალმარი-აიკ	1.90	3.25	3.40	1.19	1.21	1.66
		ფინეთი. ვაიკაუსლიგა						
		4 აგვისტო						
19:30	292	ინტერი-ტურკუ	2.00	3.00	3.00	1.20	1.20	1.50

I ტაიმის შედეგი

		1	X	2	1-X	1-2	X-2
10226	სიონდერიისკე-კოპენჰაგენი	7.00	2.50	1.55	1.84	1.26	1.00
10242	მოლდე-ალესუნდი	2.20	2.10	4.30	1.07	1.45	1.41
10268	ჰელსინგბორგი-სუნდსვალი	1.75	2.30	6.50	1.00	1.37	1.69
10269	ელფსბორგი-გაის	1.90	2.10	5.80	1.00	1.43	1.54
10270	კალმარი-აიკ	2.30	2.00	4.00	1.06	1.46	1.33
10279	ბუნკეფლო-იორგრიტე	4.40	2.00	2.20	1.37	1.46	1.04
10280	ვესბი-მიალბი	3.00	2.00	2.95	1.20	1.48	1.19
10281	სირიუსი-დეგერფორსი	2.30	2.00	4.00	1.06	1.46	1.33
10282	იონკოპინგი-ატვიდაბერგი	3.00	2.00	3.00	1.20	1.50	1.20
10283	ენჩიოპინგი-ლანდსკრონა	3.00	2.00	3.00	1.20	1.50	1.20

რომელ ტაიმში ბავა მეტი გოლი

		I-ში	თანაბრად	II-ში
15226	სიონდერიისკე-კოპენჰაგენი	3.00	2.80	2.00
15242	მოლდე-ალესუნდი	3.00	2.80	2.00
15268	ჰელსინგბორგი-სუნდსვალი	3.00	2.80	2.00
15269	ელფსბორგი-გაის	3.00	2.80	2.00
15270	კალმარი-აიკ	3.00	2.80	2.00
15279	ბუნკეფლო-იორგრიტე	3.00	2.80	2.00
15280	ვესბი-მიალბი	3.00	2.80	2.00
15281	სირიუსი-დეგერფორსი	3.00	2.80	2.00
15282	იონკოპინგი-ატვიდაბერგი	3.00	2.80	2.00
15283	ენჩიოპინგი-ლანდსკრონა	3.00	2.80	2.00

I ტაიმი/ძირითადი დრო

		1/1	1/X	1/2	X/1	X/X	X/2	2/1	2/X	2/2
11226	სიონდერიისკე-კოპენჰაგენი	10.00	10.00	20.00	9.00	4.80	3.50	20.00	10.00	1.90
11242	მოლდე-ალესუნდი	2.70	10.00	20.00	3.60	4.40	7.00	20.00	10.00	6.00
11268	ჰელსინგბორგი-სუნდსვალი	1.85	12.00	25.00	3.50	4.60	10.00	20.00	10.00	10.00
11269	ელფსბორგი-გაის	2.05	10.00	20.00	3.80	4.50	9.00	20.00	10.00	10.00
11270	კალმარი-აიკ	2.80	10.00	20.00	3.80	4.40	6.50	20.00	10.00	5.60
11279	ბუნკეფლო-იორგრიტე	6.50	10.00	20.00	7.50	4.40	3.60	20.00	10.00	2.60
11280	ვესბი-მიალბი	4.00	10.00	20.00	4.80	4.40	4.40	20.00	10.00	3.60
11281	სირიუსი-დეგერფორსი	2.80	10.00	20.00	3.80	4.40	6.50	20.00	10.00	5.60
11282	იონკოპინგი-ატვიდაბერგი	3.60	10.00	20.00	4.60	4.40	4.80	20.00	10.00	4.00
11283	ენჩიოპინგი-ლანდსკრონა	3.60	10.00	20.00	4.60	4.40	4.80	20.00	10.00	4.00

ფრეს ბარემში (ძირითადი დრო)

16226	სიონდერიისკე-კოპენჰაგენი	5.70	1.11
16242	მოლდე-ალესუნდი	1.30	3.00
16268	ჰელსინგბორგი-სუნდსვალი	1.11	5.70
16269	ელფსბორგი-გაის	1.14	4.70
16270	კალმარი-აიკ	1.34	2.80
16279	ბუნკეფლო-იორგრიტე	2.90	1.32
16280	ვესბი-მიალბი	1.82	1.82
16281	სირიუსი-დეგერფორსი	1.34	2.80
16282	იონკოპინგი-ატვიდაბერგი	1.80	1.85
16283	ენჩიოპინგი-ლანდსკრონა	1.80	1.85

გოლი:ფყვილი-1თუ კენტი-2 (0:0 ითვლება ფყვილად)

17226	სიონდერიისკე-კოპენჰაგენი	1.85	1.95
17242	მოლდე-ალესუნდი	1.85	1.95
17268	ჰელსინგბორგი-სუნდსვალი	1.85	1.95
17269	ელფსბორგი-გაის	1.85	1.95
17270	კალმარი-აიკ	1.85	1.95
17279	ბუნკეფლო-იორგრიტე	1.85	1.95
17280	ვესბი-მიალბი	1.85	1.95
17281	სირიუსი-დეგერფორსი	1.85	1.95
17282	იონკოპინგი-ატვიდაბერგი	1.85	1.95
17283	ენჩიოპინგი-ლანდსკრონა	1.85	1.95

რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

14226	სიონდერიისკე-კოპენჰაგენი	2.90	1.08
14242	მოლდე-ალესუნდი	1.65	2.30
14268	ჰელსინგბორგი-სუნდსვალი	1.20	2.60
14269	ელფსბორგი-გაის	1.30	2.50
14270	კალმარი-აიკ	1.70	2.20
14279	ბუნკეფლო-იორგრიტე	2.40	1.45
14280	ვესბი-მიალბი	2.00	1.80
14281	სირიუსი-დეგერფორსი	1.70	2.20
14282	იონკოპინგი-ატვიდაბერგი	2.00	1.80
14283	ენჩიოპინგი-ლანდსკრონა	2.00	1.80

რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

		ნაკ.	მეტ.
12226	სიონდერიისკე-კოპენჰაგენი 2,5	2.00	1.60
12242	მოლდე-ალესუნდი 2,5	2.00	1.60
12268	ჰელსინგბორგი-სუნდსვალი 2,5	2.00	1.60
12269	ელფსბორგი-გაის 2,5	1.60	2.00
12270	კალმარი-აიკ 2,5	1.80	1.80
12279	ბუნკეფლო-იორგრიტე 2,5	1.80	1.80
12280	ვესბი-მიალბი 2,5	1.70	1.90
12281	სირიუსი-დეგერფორსი 2,5	1.80	1.80
12282	იონკოპინგი-ატვიდაბერგი 2,5	1.70	1.90
12283	ენჩიოპინგი-ლანდსკრონა 2,5	1.40	2.10

შესაძლო ცვლილებები დაიზუსტეთ ადგილზე

მარჩელო ლიპი და მისი ფავორიტი გუნდის მწვრთნელი ალექს ფერგიუსონი

ლიპის ფიქრები

იტალიის ნაკრების მთავარი მწვრთნელის მარჩელო ლიპის აზრით, ჩემპიონთა ლიგას მომავალ სეზონში ინგლისური ან იტალიური კლუბი მოიგებს. მას ფავორიტებად ტურნირის მოქმედი გამარჯვებული „მანჩესტერ იუნაიტედი" და მილანის „ინტერი" მიაჩნია.

„ვფიქრობ, „ინტერი" და „მანჩესტერი" მთავარი ფავორიტები არიან. „ნერაძურიში" ყველა, პრეზიდენტით დაწყებული რიგითი თანამშრომლით დამთავრებული, მხოლოდ ჩემპიონთა ლიგის მოგებაზე ფიქრობს. ეს კი გუნდის ახალ მწვრთნელ ჟოზე მაურინიუს ნამდვილად შეუძლია. მით უმეტეს, თუ მილანელთა შემადგენლობას გადავხედავთ... „ინტერი" ძალიან ძლიერი გუნდია. თუმცა არის პრობლემებიც და „ინტერს" სწრაფად სჭირდება რეორგანიზაცია. მარკო მატერაციმ ტრავმა მიიღო, დაშავებულნი არიან პატრიკ ვიეირა, ვალტერ სამუელი და ივან კორდობაც. ზლატან იბრაჰიმოვიჩს კი ძველი ტრავმა ახსენებს ხოლმე თავს" — თქვა ლიპიმ.

შემდეგ ლიპიმ „რომაზე" ისაუბრა და დედაქალაქური კლუბი შეაქო. მას არც „ფიორენტინა" და „იუვენტუსი" გამორჩენია:

„ადრიან მუტუსთან ერთად „რომა" იდეალური იქნებოდა, მაგრამ ეს ტრანსფერი არ გამოვიდა და გასაგებია, როგორ უჭირს ლუჩანო სპალეტის ალტერნატივის მოძებნა. „გლადიატორები" ამ შემადგენლობითაც ძალიან ძლიერნი არიან და ჩემპიონთა ლიგის ფინალში ძალუძთ გასვლა. მით უმეტეს, თუ ალბერტო აკვილანისთან კონტრაქტის გახანგრძლივების ამბავს მალე მოაგვარებენ. კაპიტანი ფრანჩესკო ტოტი კი უბრალოდ ფენომენია. სხვა ვერავინ ახერხებს ისე სწრაფად ტრავმების მოშუშებას, როგორც ფრანჩესკო. საუკეთესო ფორმაში მყოფი ტოტით, „რომა" ფავორიტთა მეორე კასტაში მოხვდება „იუვენტუსთან", „ბარსელონასთან", „ჩელსისა" და „ბაიერნთან" ერთად. „ფიორენტინა"? თავდასხმაში ალბერტო ჯილარდინოსა და მუტუს წყვილი ერთ-ერთი საუკეთესოა. ჩეზარე პრანდელის მშვენიერი, აწყობილი გუნდი ჰყავს. რიკარდო მონტოლივოს დარი ახალგაზრდა ტალანტების გათვალისწინებით, „იები" შესაძლოა, ტურნირის სიურპრიზად იქცნენ. რაც შეეხება „იუვენტუსს", პაველ ნედვედს, ალესანდრო დელ პიეროს და მაურო კამორანეზის თვალები უბრწყინავთ, ხოლო როცა ძველი გვარდია ფორმაშია, ესე იგი, ყველაფერი კარგადაა. „იუვე" მძლავრია, ამაური გოლეადორადაა დაბადებული, კრისტიან პოულსენი კი რევოლუციური ტრანსფერი იქნება. „ბებერი ქალბატონი" კვლავ შეაშინებს ევროპას" — თქვა ლიპიმ.

გიორგი კაკაბაძე

რაფაელი რეალზე უახლოვდება

როგორც ჩანს, რაფაელ ვან დერ ვაარტის მადრიდის „რეალში" გადასვლის პროცესი დასკვნით ფაზაში შევიდა. სხვადასხვა საინფორმაციო საშუალების ცნობით, „ჰამბურგის" კაპიტანი „სამეფო კლუბში" 10 მილიონ ევროდ გაიყიდება.

ის, რომ მადრიდელები მიზანთან ახლოს არიან, ლონდონში პრესკონფერენციაზე თვით გერმანელთა დამრიგებელმა მარტინ იოლიმ განაცხადა: „ორივე კლუბი შეთანხმებას ცდილობს. ჩვენ რაფაელთან მოლაპარაკებულნი ვიყავით, რომ მას მხოლოდ გარკვეული თანხის შემოთავაზების შემთხვევაში გავუშვებდით. ესპანელები 7-8 მილიონს გამოდიოდნენ, რაც, უბრალოდ, სასაცილო თანხაა ასეთი ფეხბურთელის სანაცვლოდ".

„ჰამბურგის" თავკაცმა რაფაელის კლუბში დარჩენის სურვილი გამოთქვა და აღნიშნა, რომ „რეალში" ბევრი ნიჭიერი მოთამაშეა და ვან დერ ვაარტის მადრიდში გადასვლა სრულებითაც არ არის აუცილებელი:

„მე ჯერ კიდევ მაქვს იმედი და მჯერა, რომ ის ხვალ მოედანზე გამოვა" — დასძინა ჰოლანდიელმა სპეციალისტმა.

„ჰამბურგმა" მადრიდის „რეალთან" შეხვედრა თავისი კაპიტნის გარეშე ჩაატარა და დამარცხდა კიდეც — 1:2.

რაც შეეხება თვითონ რაფაელს, ის, რა თქმა უნდა, „სამეფო კლუბში გადასვლას ელის, რაც მან ესპანელებთან ინტერვიუშიც აღნიშნა: „რეალში" თამაში ჩემი ოცნებაა, თუ ეს ტრანსფერი განხორციელდება, უბედნიერესი ადამიანი ვიქნები. ამჟამად „ჰამბურგის" მოთამაშე ვარ, მაგრამ იმედია, მალე მადრიდში ჩამოვალ". ჰოლანდიელს დედის მხრიდან ესპანური გენებიც გააჩნია.

აღსანიშნავია, რომ თუ ვან დერ ვაარტის ტრანსფერი მართლაც შედგა, მაშინ იგი „სამეფო კლუბის" მეხუთე ჰოლანდიელი მოთამაშე გახდება რუუდ ვან ნისტელროის, არიენ რობენის, უესლი სნეიდერისა და როისტონ დრენტეს შემდეგ.

არჩილ კოგახიძე

რომაული განცხადება: ვეძებთ ძლიერ ფეხბურთელს იაფად

დავიდ სილვა

იტალიურ „რომას" კიდევ ერთი-ორი ფეხბურთელით გაძლიერება რომ სურს, უკვე კარგად მოგეხსენებათ. რამდენიმე არგამოსული ვარიანტის მერე, „გლადიატორთა" სიაში ვალენსიელი დავიდ სილვა და ისრაელის ნაკრების შემტევი ნახევარმცველი იოსი ბენაიუნი მოხვდნენ.

„პირადად მე „რომასთან" კონტაქტი არ მქონია, მაგრამ ვიცი, რომ იტალიურმა კლუბმა „ვალენსიას" გარკვეული თანხა შესთავაზა. წინადადების დეტალები არ ვიცი. თუმცა „ჯალოროსის" ნამდვილად უნდა დავიდის შეძენა" — თქვა სილვას აგენტმა ხულიო ლორენტემ.

ახალგაზრდა და რეაქტიულმა ნახევარმცველმა ევრო 2008-ზე მშვენივრად ითამაშა და ბევრი მსურველიც გაუჩნდა, მაგრამ „ღამურებს" მისი გაყიდვა დიდად არ უნდათ და ძვირს აფასებენ. ამიტომ, „გლადიატორებს" უფრო დიდი შანსები 28 წლის ბენაიუნთან აქვთ.

„ვეძებთ ფიზიკურად ძლიერ ფეხბურთელს, რომელსაც ფლანგზე, შემტევად თამაში შეუძლია. სილვა ყველას მოსწონს, მაგრამ იგი ძალიან ძვირია. ლუკაშ პოდოლსკი მშვენიერი ფეხბურთელია, ოღონდ, ჩვენ სათამაშო სქემაში ვერ ჯდება. ჟულიო ბაპტისტა და ფლორენ მალუდაც ბრწყინვალე შენაძენები იქნებოდნენ, მაგრამ მათი ბედი იმაზეა დამოკიდებული თუ როგორ განხორციელდება სხვა ტრანსფერები" — განაცხადა „რომას" მწვრთნელმა ლუჩანო სპალეტიმ.

საქმე ის არის, რომ თუ მადრიდის „რეალი" კრიშტიანუ რონალდუს იყიდის, ეს ჟულიო ბაპტისტას წასვლას ფაქტობრივად გადაწყვეტს. ხოლო თუ „სამეფო გუნდი" არიენ რობენს „ჩელსიში" დააბრუნებს, ეს უკვე ლონდონელთა რიგებიდან მალუდას წასვლის შანსებს გაზრდის...

ბოლო ინფორმაციით, კი „სტადიო ოლიმპიკოზე" დავიდ სუაზოს გადასვლის შანსიც არის, ეს თავად ჰონდურასელის აგენტმა დაადასტურა. „ინტერში" არსებული დიდი კონკურენციის გამო, ყოფილი კალიარელი ძირითადში ადგილს ვერ იმკვიდრებს და ამიტომ, შესაძლოა, წასვლაზე უარი არ თქვას.

„დავიდს „ინტერთან" სამწლიანი კონტრაქტი აკავშირებს და ახლა ტრანსფერზე ლაპარაკიც არ არის, მაგრამ „რომას" ვარიანტს მაინც არ გამოვრიცხავდი" — თქვა სუაზოს აგენტმა ჯოვანი ბრანკინიმ.

კოკი კანდელაკი

მიუნხენის ბაიერნის ტრავმატოლოგიური ცენტრი



ჰანს იორგ ბუტი



ტიმ ბოროვსკი

მიუნხენის „ბაიერნი" იაპონიიდან დაბრუნდა, სადაც ადგილობრივ „ურავა რედ დაიმონდს" ამხანაგურად გაეჯიბრა და 4:2 გაიმარჯვა. ტოკიოდან დაბრუნების შემდეგ მცველმა ვილი სანიოლმა გუნდთან ერთად პირველად ივარჯიშა. მან იაპონური შეხვედრა აქილევსის მყესის ტრავმის გამო გააცდინა. ახლა რაც შეეხება სხვა ტრავმირებულ ფეხბურთელებს: ლუკა ტონი, რომელმაც კუნთი დაიჭიმა, ინდივიდუალური პროგრამით ვარჯიშობს. გოლკიპერმა ჰანს იორგ ბუტმა და ნახევარმცველმა ტიმ ბოროვსკიმ კი, რომელნიც საზაფხულო ფანჯრის დროს გადავიდნენ მიუნხენში, საერთოდ გამოტოვეს ვარჯიში და მათ ამ კვირაში სათანადო გამოკვლევა ჩაუტარდებათ.

ამასობაში ფრანკ რიბერის დაბრუნებას აგვისტოს ბოლოს ან სექტემბრის დასაწყისში ელოდებიან. როგორც მიუნხენელთა მენეჯერმა ული ჰონესმა განაცხადა, ნახევარმცველის რეაბილიტაცია შედარებით სწრაფი ტემპებით მიმდინარეობს.

არჩილ კოგახიძე

მილანის პრობლემები და ახალწვეულები

კაკა

მარკო ბორიელო

ფილიპო ინძაგი

„მილანის“ საქმეები კარგად ვერ არის. კლუბის ხელმძღვანელები კი ირწმუნებოდნენ, ალესანდრო ნესტას მხრის ტრავმა მოშუშების პირასაა და მას ოპერაცია არ სჭირდებაო, მაგრამ იტალიური პრესის ბოლო ინფორმაციით, ყველაფერი ასე მარტივად არ არის და დიდი შანსია, ვეტერანი მცველი ქირურგიულ ჩარევას ვერ გადაურჩეს.

თუ ნესტა ოპერაციას გაიკეთებს, რამდენიმე თვე უქმობა მოუწევს. ეს კი ნიშნავს, რომ „როსონერის“ მინიმუმ ერთი ახალი მცველის დამატება დასჭირდება, რათა შემადგენლობასთან დაკავშირებული სერიოზული პრობლემები არ შეექმნას. თორემ ახლა კარლო ანჩელოტის მასიმო ამბროზინის ცენტრალურ მცველად დაყენებაც კი უწევს.

დაშავდა გუნდის ლიდერი კაკაც. ბრაზილიელმა მუხლის ტრავმა „სევილიასთან“ ამხანაგურ შეხვედრაში გაიმიზეზა და დაახლოებით ორი კვირა მოუწევს დასვენება. ექიმები უფრო ზუსტ დიაგნოზს უახლოეს დღეებში დასვამენ.

ეს „მილანისთვის“ სერიოზული პრობლემაა, რადგან მარკო ბორიელო ორი თვით დამტვრეულია, ვეტერანი ფილიპო ინძაგიც ლაზარეთშია, ალეშანდრე პატო და რონალდინიო კი ოლიმპიადისთვის ემზადებიან ბრაზილიის ნაკრებთან ერთად. „სან სიროს“ ბინადრები თავდასხმაში ახალგაზრდა ალბერტო პალოსკის ამარაღა არიან.

ამან ხელახლა ააგორა მითქმა-მოთქმა ანდრეი შევჩენკოს „სან სიროზე“ შესაძლო დაბრუნების შესახებ. უკრაინელ ფორვარდს ამის საწინააღმდეგო არაფერი აქვს, მთავარია, „მილანმა“ ისურვოს და მერე, როგორღაც „ჩელსის“ გაურიგდეს.

ამასობაში, „მილანმა“ ორი ნიჭიერი ურუგვაელი შემტევი ნახევარმცველი, მატიას კარდასიო და ტაბარე ვიდუესი შეიძინა. მათ ჟურნალისტებს დღეს წარუდგენენ.

21 წლის კარდასიო მონტევიდეოს „ნასიონალში“ თამაშობდა, მან ჟურნალისტებს განუცხადა, ანდრეა პირლოს ვგავარო. 2007 წლის 19-წლამდელთა მსოფლიოს ჩემპიონატზე ის ერთ-ერთი გამორჩეული ფეხურთელი იყო.

ვიდუესი „დეფენსორ სპორტინგ მონტევიდეოს“ წევრი გახლდათ. იგი ურგვაის ერთ-ერთი ყველაზე იმედისმომცემი ფეხბურთელია. 20-წლამდელთა მსოფლიოს ჩემპიონატზე 18 წლისამ ითამაშა და ტურნირის ყველაზე ახალგაზრდა მონაწილე გახლდათ. ვიდუესს ალვარო რეკობას დარი მარჯვე ცაცია აქვს.

გიორგი კაკაბაძე

ბოლონია გაიყიდა

ალფრედო კაცოლა

სერია A-ში დაბრუნებულ „ბოლონიას“ ახალი მფლობელი ჰყავს. ამერიკელ ინვესტორებთან ჩაშლილი მოლაპარაკებების მერე, კლუბის ამჟამინდელმა პრეზიდენტმა ალფრედო კაცოლამ, რომელიც პოსტზე 30 სექტემბრამდე დარჩება, შეთანხმებას ადგილობრივ ბიზნესმენ რენცო მენარინისთან მიაღწია.

მენარინი კლუბის აქციების 37 პროცენტს ისედაც ფლობდა და დანარჩენი 67-ც გამოისყიდა. ეს დაახლოებით 15 მილიონი ევრო დაჯდა.

„ძალიან მიხარია, რომ ვიპოვეთ ღირსეული ადამიანი და „ბოლონია“ კარგ ხელში რჩება. ეს საკითხი დიდი ხანი მაფიქრებდა, ჯერ კიდევ სერია B-ში რომ ვიყავით, იმ დროიდან. საბედნიეროდ, უმაღლეს ლიგას დავუბრუნდით და იმედია, წინ წარმატებები გველის. სანამ პოსტზე ვრჩები, მუშაობას ძველებური ენთუზიაზმით გავაგრძელებ“. — თქვა კაცოლამ.

რენცო მერანინი: „დირექტორად პიერ ჯოვანი რიჩი მოგვყავს, რომელსაც გუნდში უკვე უმუშავია. სპორტულ დირექტორად ფაბრიციო სალვატორი რჩება. რაც შეეხება პრეზიდენტის პოსტს, ამაზე ვფიქრობ. ისე, ორი შვილი მყავს და ჩემი ქალიშვილი ფეხბურთის დიდი ქომაგია... ეს კლუბი ყველას ძალიან გვიყვარს და სერია A-ში კარგ თამაშს ველით“.

ძოძი ანდელაძე

ბენტლის მარჯვენა ძვირად ფასობს

ლონდონის „ტოტენჰემთან“ 0:2 წაგებული მატჩის შემდეგ „სელტიკის“ დამრიგებელმა გორდონ სტრაჩანმა წუხილი გამოთქვა იმასთან დაკავშირებით, რომ მის კლუბს არ შეუძლია სერიოზული შენძენების გაკეთება: „ინგლისური პრემიერლიგის კლუბების უმეტესობას „სელტიკზე“ გაცილებით უფრო დიდი ფინანსური შესაძლებლობები აქვს. ავიღოთ თუნდაც იგივე „ტოტენჰემი“, რომელმაც ამ კვირას დევიდ ბენტლი იყიდა. ჩვენ ამ ფეხბურთელის მარჯვენა ფეხსაც კი ვერ შევიძენდით“ — სევდანარევი ირონიით აღნიშნა გლაზგოელთა თავკაცმა.

ადებაიორი მამიკოს ბიჭია

ცნობილი გახდა „არსენალის“ ფორვარდ ემანუელ ადებაიორის ახალი კონტრაქტის პირობები: ტოგოელი „მეთოფეებთან“ 2013 წლამდე დარჩება, ხოლო გასამრჯელოდ კვირაში 70 ათას გირვანქას მიიღებს. ადებაიორზე მთელი ზაფხულის განმავლობაში ევროპელი გრანდები — „მილანი“, „ბარსელონა“ და „რეალი“ ნადირობდნენ, მაგრამ ფეხბურთელმა ლონდონში დარჩენა გადაწყვიტა. „როდესაც ჩვენ ახალი კონტრაქტის თაობაზე მოლაპარაკება დავიწყეთ, ურთიერთობა არც ერთ სხვა კლუბთან არ მქონდა და საერთოდ, ყველა ჩემს საქმეს შამაჩემი განაგებს. ის ჩემი მენეჯერია, რომელსაც ყველაფერში ვემორჩილები“ — განაცხადა ადებაიორმა.

კიჭას აგენტმა იაპონია უარყო

ბრაზილიელ ფორვარდ ლუის ნაზარიო რონალდოს აგენტმა უარყო, რომ მისმა კლიენტმა იაპონური „კაშმა ანთლერისგან“ შეთავაზება მიიღო: „იაპონური კლუბის არც ერთ წარმომადგენელს არც ჩემთან და არც რონალდოსთან კავშირი არ ჰქონია. თანაც ახლა ფეხბურთელისთვის მთავარი პრიორიტეტი ფიზიკური კონდიციების აღდგენაა“ — განაცხადა ფერნანდუ ფარამ.

31 წლის ფეხბურთელს „მილანთან“ კონტრაქტის ვადა 1 ივლისს ამოეწურა და ამჟამად იგი მუხლის ოპერაციის შემდეგ რეაბილიტაციას გადის. მინდორს კი „კიჭა“ სავარაუდოდ წლის ბოლოს დაუბრუნდება.

კაჭკაჭებმა გალისიელები მოთაფლეს

„ნიუკასლ იუნაიტედი“ „დეპორტივოს“ 12 მილიონ ევროს გადაუხდის ფაბრიციო კოლოჩინის სანაცვლოდ. თან, როგორც ფეხბურთელის აგენტმა განაცხადა, „კაჭკაჭებმა“ ფაბრიციოს იმაზე ორჯერ მეტი ხელფასი შესთავაზეს, რასაც იგი ლაკორუნიულ კლუბში იღებდა.

სამ წელიწადნახევარია, კოლოჩინი „დეპორტივოში“ გამოდის. იქამდე კი ის „მილანის“ „ვილიარეალის“, „ატლეტიკოს“, „ალავესის“, „სან ლორენცოს“ და „ბოკა ხუნიორსის“ რიგებსაც იცავდა.

იტანჯის პარიზში უნდა

„ლივერპულის“ სათადარიგო მეკარე შარლ იუბერ იტანჯი, სავარაუდოდ, სამშობლოში დაბრუნდება და დედაქალაქურ პსჟ-ს შეუერთდება. 25 წლის კიპერს თურქული „გალათასარაიც“ ეპატიჟებოდა, მაგრამ ფრანგმა ეს შემოთავაზება უარყო.

ჩილელი იჯარით როვერსში

ინგლისურმა „ბლექბერნმა“ ჩილეს „აუდაქსიდან“ კარლოს ვილანოევა ინათხოვრა. 22 წლის ფეხბურთელი, რომელიც სამშობლოში წლის მოთამაშედ დაასახელეს, „როვერსში“ იჯარით ერთ სეზონს გაატარებს, შემდეგ კი ინგლისელებს მისი სრულად გამოსყიდვის საშუალებაც ექნებათ.

გუზანის ოფიციალური კონტრაქტი

ბირმინგემის „ასტონ ვილამ“ ოფიციალურად გაიფორმა ამერიკელი გოლკიპერი ბრედ გუზანი, რომელიც წინათ ამერიკული „მეიჯორ ლიგის“ „ჩივასში“ გამოდიოდა. აშშ-ის ნაკრების მეკარის სანაცვლოდ „ვილამ“ 2,5 მილიონი ევრო გადაიხადა.

ანტის მტევანის ოპერაცია

„ფულემის“ გოლკიპერ ანტი ნიემის ამ კვირაში მარცხენა ხელის მტევანზე განმეორებითი ოპერაცია ჩაუტარდება. ფინელს პირველი ოპერაცია ივნისში გაუკეთეს, თუმცა იგი მაინც დისკომფორტს განიცდიდა და ამიტომ მისი მტევანის ხელმეორედ ოპერირება გადაწყდა. როდის დაუბრუნდება 36 წლის მეკარე მოედანს, ჯერჯერობით უცნობია.

არჩილ კოგანიძე


ჟოზე მაურინიუ


მასიმო მორატი

მორატი: დიდი ფლირტი მაუსთან და პელეც ხურდაში

მილანის „ინტერის“ პრეზიდენტი მასიმო მორატი აგრძელებს ჟოზე მაურინიუს ქება-დიდებას. იგი პორტუგალიელით აღფრთოვანებულია და სჯერა, რომ მის ხელში „ნერაძური“ დიდ წარმატებებს მიაღწევს.

„გუნდი პროგრესს განაგრძობს. ჩვენ შეკრული კოლექტივი გვაყვს, რომელმაც კარგად იცის, რა უნდა აკეთოს. მაურინიუს რაც შეეხება, მას აპრილში შევხვდი, რობერტო მანჩინის ცნობილი კომენტარების შემდეგ. თუმცა ჟოზე მანამდეც მესიმპათიურებოდა. ზოგისთვის მისი საქციელი და ლაპარაკი შესაძლოა უხეში და გამაღიზიანებელია, ზოგისთვის კი პირიქით. საუბრისას მისი პირდაპირობა მომწონს. იგი საოცრად სწრაფად აზროვნებს და ამბობს სათქმელს, თან ამას სერიოზულობისა და ირონიის ნაზავით ახერხებს. ეს კარგია, რადგან დროის კარგვა არ გიწევს და იცი, რომ შეგიძლია ამ ადამიანს ენდო“ — თქვა მორატიმ.

„ინტერის“ მფლობელი „განსაკუთრებულის“ ელენიო ერერასთან შედარებასაც აგრძელებს. ერერას იგი რობერტო მანჩინისაც ადარებდა, მაგრამ ახლა ამბობს, მაურინიუ მას ყველაზე მეტად ჰგავსო.

მასიმო მორატი: „ეს ბუნებრივი შედარებაა, რადგან ისინი მსგავსები არიან მედიასთან ურთიერთობაში, გამომწვევ ქცევასა და რაც მთავარია, თავდაუზოგავ შრომაში. ყველა მწვრთნელს შორის, ვისაც ვიცნობ, მაურინიუ ყველაზე მეტად ჰგავს ერერას. რაც შეეხება მანჩინის, მესმის, რომ მისთვის მომავალ სეზონში „ინტერის“ ქომაგობა რთული იქნება. თუმცა ამ ფეხბურთელებთან ამდენწლიანი მუშაობის მერე, იმედია, გული მაინც გამოუწევს ჩვენკენ. მინდა აღვნიშნო, რომ დიდი სხვაობაა იმ მორატის, შორის, რომელსაც რობერტო ძალიან მოსწონდა და მასთან ერთად სიამოვნებით იზიარებდა კარგსა თუ ცუდს და იმ მორატის, რომელიც „ნერაძურის“ პრეზიდენტია და ვითარებიდან გამომდინარე კლუბისთვის საუკეთესო გადაწყვეტილება უნდა მიიღოს“.

უკვე რა ხანია, „ინტერი“ ჩემპიონთა ლიგის მოგებაზე ოცნებობს და მილანელები მომავალ სეზონში კიდევ ერთხელ შეეცდებიან მიზნის მიღწევას. ეს ტურნირი მათთვის პრიორიტეტული იქნება.

„ჩემპიონთა ლიგაზე კარგი თამაში ჩვენი უპირველესი მიზანია, მაგრამ სკუდეტოს შენარჩუნებაც გვინდა. ადვილი არ არის ორივე ფრონტზე წარმატების მიღწევა, მაგრამ სხვა გზა არ არის, კარგად უნდა ვითამაშოთ და მოვიგოთ. ვფიქრობ, იტალიის ჩემპიონობაზე ყველაზე მეტად ორიენტირებული ახლა „მილანი“. „რომა“ ძალიან ძლიერია და წესით, ბოლო წლების მიღწევები უნდა გაიმეოროს. „იუვენტუსი“ კი თავისებური მებრძოლი სულით გამოირჩევა. „როსონერი“ ახლა ფავორიტია, მაგრამ რეალურად გუნდის პოტენციალი არ ვიცით. თუმცა იგი შესაძლოა ძალიან დიდი იყოს, ან არც ისე დიდი, როგორც გვგონია. რას ვიტყვი რონალდინიოს „მილანში“ გადასვლაზე? ბრაზილიელი ერთ დროს მაინტერესებდა, მაგრამ ახლა აღარ. ამას ისიც ადასტურებს, რომ ის ახლა „როსონერიში“ ირიცხება“ — დასძინა მორატიმ.

„ნერაძურის“ დაცვაში და ნახევარდაცვაში არსებული პრობლემები კი შესაძლოა გულიელმო სტენდარდომ და კრისტიან ლედესმამ გადაჭრან. „ლაციოს“ პრეზიდენტმა კლაუდიო ლოტიტომ დაადასტურა, რომ სტენდარდოსა და ლედესმას „ინტერში“ გაშვების ვარიანტს სერიოზულად განიხილავს.

შეგახსენებთ, რომ სტენდარდო გასულ სეზონში „იუვენტუსში“ იყო განათხოვრებული. ლედესმამ კი უკვე მრავალჯერ განაცხადა, „ბიანკონელესტისთან“ კონტრაქტს აღარ გავანხანგრძლივებ, წასვლა მინდაო.

ამბობენ, თუ ეს ტრანსფერები შედგება, „ლაციო“ სანაცვლოდ ფულთან ერთად ნიჭიერ პორტუგალიელ ნახევარმცველ პელეს მიიღებსო.

გიორგი კაკაბაძე

ინტერის წინააღმდეგ

ტურინში წაგება უბრალოდ ეზიზღებათ

ტურინის „იუვენტუსის“ მწვრთნელს კლაუდიო რანიერის, როგორც ჩანს, მწარედ ახსოვს, „ჩელსის“ ყიდვიდან საკმაოდ ცოტა ხანში, როგორ შეცვალა იგი რომან აბრამოვიჩმა ჟოზე მაურინიუთი. რანიერიმ პორტუგალიელი სპეციალისტის მისამართით ერთი-ორი მწარე კომენტარი გააკეთა, რასაც ალბათ „განსაკუთრებული“ უპასუხოდ და უყურადღებოდ არ დატოვებს.

„მაურინიუ ბრწყინვალე მწვრთნელია, მაგრამ არ მინდა, რომ მან იტალიაში ტიტულები მოიგოს და ეს ძალიან გაუჭირდება. მისთვის იტალია ახალი ხილია, აქ კი არნახული ზეწოლაა. ფანები გაუთავებლად ფეხბურთზე ლაპარაკობენ და თითოეულ შეცდომაზე მიგითითებენ, მოგებული მატჩის მერეც კი. მოკლედ, სერია A ძალიან რთული ჩემპიონატია“ — თქვა რანიერიმ.

„ბებერი ქალბატონის“ თავკაცმა ფრენკ ლამპარდზეც ისაუბრა, რომლის შეძენაც „ინტერს“ სურდა. ინგლისელ ნახევარმცველს მასთანაც კარგი ურთიერთობა აქვს და მაურინიუსთანაც. თუმცა „ჩელსიმ“ ლამპარდის გაშვება არ ისურვა და ახლა თითქმის გადაწყვეტილია, რომ ის „სტემფორდ ბრიჯზე“ დარჩება.

„მიხარია თუ არა, ლამპარდი „ინტერში“ რომ არ გადავიდა? მე მხოლოდ ის მინდა, რომ ფრენკმა თავისთვის საუკეთესო არჩევანი გააკეთოს. მას იტალიაში დიდი წარმატების მიღწევა შეეძლო და არ გამხარებია, როცა არ გამოუშვეს. მე რომ მეთხოვა ლამპარდი „იუვესთვის“, ვფიქრობ, აბრამოვიჩი მას გამოუშვებდა. მაურინიუს კი მან უარი უთხრა და ალბათ ხვდებით, რატომაც“ — დასძინა რანიერიმ.

„ბიანკონერის“ ქომაგები გაახარა სპორტული დირექტორის ალესიო სეკოს სიტყვებმა, შესაძლოა, კიდევ ვინმე ვიყიდოთო. არადა, აქამდე კლუბის ხელმძღვანელები გადაჭრით იძახდნენ, კრისტიან პოულსენით ამ ზაფხულს ტრანსფერებს მოვრჩითო.

„როგორც ვთქვით, სატრანსფერო ბაზარზე აქტიურობას აღარ ვაპირებთ. თუმცა ხშირად ხდება ხოლმე მოულოდნელი რამეები, რაც ბოლო მომენტში კარგი ფეხბურთელის შეძენის საშუალებას გაძლევს და თუ ასეთი შანსი მოგვეცა, მას გამოვიყენებთ.

ტიაგუ მენდეშის დეიან სტანკოვიჩში გაცვლის შესახებ ნამდვილად არაფერი ვიცი, ეს ამბავი ჟურნალისტების მოგონილია. რაც შეეხება კრისტიან პოულსენს, ფანები მომო სისოკოსაც ზუსტად ასეთივე პროტესტებით დახვდნენ, ახლა კი იგი ქომაგთა ერთ-ერთი ფავორიტია.

ფაუსტო როსი მართლაც ძალიან კარგად თამაშობს და ახალგაზრდებზე სერიოზულად ვაკეთებთ აქცენტს. გვინდა, „ბარსელონას“ მივბაძოთ, კატალონიელებმა ლეო მესი, ჯოვანი დოს სანტოსი და ბოიან კრკიჩი ძალიან ახალგაზრდა ასაკში აათამაშეს. თუ მოთამაშე 17 წლის ასაკში უკვე სათანადოდ ნიჭიერია და კარგად თამაში ძალუძს, რატომ არ უნდა მივცეთ გაბრწყინების შანსი?“ — თქვა სეკომ.

„იუვეს“ ფანები არანაკლებ გაახარა გუნდის კაპიტნისა და სიმბოლოს ალესანდრო დელ პიეროს კომენტარმა, თამაშს 40 წლამდე ვაპირებო...

„არ ვიცი, როდის დავასრულებ კარიერას. ნამდვილად შემიძლია გითხრათ, რომ თუ ასეთივე მოტივირებული ვიქნები, კიდევ 6-7 წელი სიამოვნებით ვითამაშებ. მოგებისა და პირველობისთვის ბრძოლის სურვილი კარიერის დასაწყისიდან მომდევს. თუ ამას რწმენასა და თავდაუზოგავ შრომას დაუმატებ, დიდი შანსია, რომ წარმატებას მიაღწიო კიდეც. კლუბის ამჟამინდელი მდგომარეობით კმაყოფილი ვარ. რამდენიმე კარგი ფეხბურთელი დავიმატეთ, ასევე გვყავს ძალიან ნიჭიერი ახალგაზრდები. შემართება ძალიან ბევრს ნიშნავს და თავადაც ხედავთ, რომ ამხანაგურ მატჩებშიც კი ბოლომდე ვიხარჯებით, წაგება უბრალოდ გვეზიზღება“ — თქვა 33 წლის „პინტურიკიომ“.

გიორგი კაკაბაძე

კლაუდიო რანიერი

იულიანოს ორწლიანი



იტალიის ნაკრებისა და ტურინის „იუვენტუსის“ ექსმცველი მარკ იულიანო, რომელიც ამჟამად „რავენაში“ ირიცხება, ორწლიანი დისკვალიფიკაციით დაისაჯა და ეს ფაქტობრივად მისი კარიერის დასასრულს ნიშნავს. იგი 12 აგვისტოს 35 წლის ხდება.

იულიანო კოკაინის ხმარებაში ამხილეს. მას ტესტი ივნისში „რავენასა“ და „ჩეზენას“ მატჩის მერე აუღეს. იტალიის ოლიმპიურმა კომიტეტმა მყისვე ორწლიანი დისკვალიფიკაცია მოითხოვა და ფეხბურთის ფედერაციამაც საწინააღმდეგო არაფერი გამოთქვა. დისკვალიფიკაცია ძალაში 2008 წლის 3 ივლისს შევიდა.

„იუვენტუსისა“ და „რავენას“ გარდა იულიანოს „სალერნიტანაში“, „ბოლონიაში“, „მონცაში“, „მალიორკაში“, „სამპდორიასა“ და „მესინაში“ უთამაშია. ეროვნული ნაკრების ღირსება მან 22-ჯერ დაიცვა და ერთი გოლიც გაიტანა.

კოკი კანდელაკი

რობენის თავისუფალი დრო: 24 საათი

ბროლის ცაცია სხვებს დაამსხვრევს

„რეალის“ ჰოლანდიელ მარცხენაფლანგელ არიენ რობენს სწყინს, რომ ხშირი ტრავმების გამო „ბროლის ფეხბურთელად“ მონათლეს, მაგრამ „ას“-თან ინტერვიუში ქომაგებს ჰპირდება, რომ მომავალ სეზონში აღარ „დაიმსხვრევა“

— სეზონისწინა მატჩებში კარგი თამაშით აშკარად გამოირჩევით.

— ასე არ ვთვლი, მაგრამ თავს შესანიშნავად ვგრძნობ და ინტენსიურად ვვარჯიშობ, რათა ჩემპიონატის დასაწყისს საუკეთესო ფორმაში შევხვდე.

წინა სეზონში ამ დროს ტრავმა მაწუხებდა და მთელი წლის განმავლობაში ვერ მოვიშუშე, ამჯერად კი ხელს აღარაფერი მიშლის. გუნდთან ერთადაც ვემზადები და ინდივიდუალური პროგრამითაც. ზუსტად ვიცი, რაზე უნდა ვიმუშავო.

— ფრანსისკო ხენტო იამაყებს თქვენით, ამ სიტყვებს რომ წაიკითხავს.

— ვცდილობ, რომ იმ ამპლუაში, რომელშიც საუკეთესო ფრანსისკო ხენტო გახლდათ, სხვებზე კარგი ვიყო.

ძალიან მომწონს მეტოქესთან ერთი ერთზე ბრძოლა და ამისგან სიამოვნებას ბავშვობაშიც ვიღებდი. სულ ასე ვთამაშობდი, მინდოდა, რომ მოწინააღმდეგისთვის ფინტით გვერდი ამევლო. ეს ჩემი სათამაშო ყაიდაა და ვერ დავთმობ.

— ასეთი ბრძოლები ფეხბურთს უხდება და მაყურებელს ახალისებს.

— ასეცაა. ეს ჩემი ხასიათის შტრიხია. მთავარი კი ისაა, რომ მეტოქის ჩამოტოვების შემდეგ საგოლე პასი გააკეთო.

„ლინკო�“ ამხანაგურ მატჩში ორი საგოლე პასი ჩავიწერე და კმაყოფილი ვარ. ამ სეზონისგან ბევრ სიხარულს ველი.

— თქვენი ცაცია პრიმერაში ერთ-ერთი საუკეთესოა?

— არ ვიცი. ამაზე საუბარი ალბათ ნაადრევია. ვნახოთ, შევძლებ თუ არა, ჩემი მარცხენა ფეხი მართლა საუკეთესო გავხადო.

— მსოფლიო ფეხბურთის ისტორიაში საუკეთესო ცაციად ვინ მიგაჩნიათ?

— რომარიო, ჩემი სათაყვანებელი ფეხბურთელია. პსვ-ში ფანტასტიკურად თამაშობდა. სამ-ოთხ მცველს ატყუებდა და საუცხოო გოლებს გაჰქონდა. მისი ფეხბურთი ნამდვილი სპექტაკლი იყო.

— რით ახსნით თქვენს კარგ ფიზიკურ ფორმას?

— არ ვიცი. შვებულებისას ვისვენებდი და არ მივარჯიშია. შეკრების დაწყებიდან კი თავი არ დამიზოგავს.

ვგრძნობ, რომ სხვებზე მეტი გარჯა მომიწვეს, რადგან წინა სეზონის მეტი ნაწილი გამიცდა. თუ გულიანად არ იშრომებ, უმაღლეს დონეზე ვერ ითამაშებ.

შარშან ტრავმებმა ფსიქოლოგიურად ცოტა გამტეხა და ზოგადად რიტმიდანაც ამოვვარდი, ახლა კი ყველაფერი რიგზეა.

— ხომ არ გეშინოდათ, რომ ხშირი ტრავმიანობა კარიერას დაგასრულებინებდათ?

— არა, რადგან შიში საქმეს ართულებს. როცა გეშინია, თამაშის სურვილივ გეკარგება და პრობლემები მატულობს.

— ფიზიკური ვარჯიშები გეხალისებათ?

— არ მეზარება, მაგრამ ბურთით მირჩევნია.

— თქვენ და მაჰამადუ დიარა თანაგუნდელებზე უფრო ჯანიანები ხართ?

— არა მგონია, თუმც ძალის მოზღვავებას ვგრძნობ. ახალგაზრდა ვარ და სირბილი შემიძლია. ბოლო ვარჯიშებზე ხალისით დავრბოდი.

— ალბათ გული გწყდებათ, რომ „რეალის“ ქომაგებს თქვენი შესაძლებლობები სრულად ჯერ ვერ ანახეთ.

— რა თქმა უნდა, გულდაწყვეტილი ვარ, მაგრამ ვიმედოვნებ, რომ ეს ჩემი სეზონი იქნება. ტრავმებსაც ავიცილებ და თამაშითაც ვისიამოვნებ. ესაა უპირველესი მიზანი და ალბათ გუნდისთვის მნიშვნელოვანი ფეხბურთელიც გავხდები.

— თქვენი კრიტიკოსები „ბროლის ფეხბურთელს“ გიწოდებდენ...

— ვიცი, ხშირი ტრავმების გამო, მაგრამ თუ არ დავშავდი, მაშინ ამას ველარ იტყვიან. ბროლისა კი არა ვარ, უბრალოდ, ტრავმები ერთმანეთს მიება. თან, მთელი წლის განმავლობაში წელი მტკიოდა და „რეალის“ ექიმებმა საბოლოოდ მომარჩინეს. ეს პრობლემაც აღარ მაწუხებს.

— „ბროლისას“ რომ გეძახდნენ, გწყინდათ?

— მეტსახელზე უფრო ის მწყინდა, რომ მთელი მსოფლიო კითხულობდა ამას, რაც სიმართლეს არ შეესაბამებოდა. ვისაც ვარჯისისას ვუნახივარ, „ბროლის ფეხბურთელს“ არ მიწოდებს.

— ჩემი ვარაუდით, საამსეზონო „რეალის“ საუკეთესო ფეხბურთელი თქვენ გახდებით.

— მეც მინდა, რაც შეიძლება მეტ მატჩში ვითამაშო და მწვრთნელის ნდობა მოვიპოვო. ეს ზაფხული ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია. ესპანეთის სუპერთასაშდე რამდენიმე ამხანაგური შეხვედრა დაგვრჩა და ამ ხნის განმავლობაში ვარკიშებზე თავი არ უნდა დავზოგო.

— „რეალში“ საუკეთესო მეგობარი ვინ გყავთ?

— გუნდში ყველასთან კარგი ურთიერთობა მაქვს, მაგრამ ჰოლანდიელებთან უფრო ახლოს ვარ.

— ჰოლანდიელი ფეხბურთელები ძალიან შრომისმოყვარენი არიან...

— მართალია და ამიტომაც იზრდება ჩვენთან უმაღლესი კლასის ბევრი ფეხბურთელი. ჩვენ კარგად ჩავწერეთ „რეალში“ და თავს ისე ვგრძნობთ მადრიდში, რორგორ საკუთარ სახლში.

— კრიშტიანუ რონალდუს გამო ატეხილი ამბავი თქვენზე როგორ მოქმედებს?

— ორი თვეა, ყველა მასზე საუბრობს და ახალს ვერაფერს ვიტყვი. თუ მოიყვანენ, მერე ვნახოთ. მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშეა. ახლების მოყვანაზე უფრო მნიშვნელოვნად ამ შემადგენლობის შენარჩუნება მიმაჩნია.

— რობინიო დარჩება?

— ალბათ კი, რატომაც არა?! ძალიან კარგი გუნდი გვყავს და შარშანდელივით ჩემპიონობისთვის და ჩემპიონთა ლიგის მოსაგებად ვიბრძოლებთ.

— ვან დერ ვაარტის ყიდვასაც აპირებენ?

— კი, მაგრამ ჯერ ხომ არ მოსულა. ვან დერ ვაარტიც ჩემსავითაა. როცა „ჩელსიდან“ „რეალში“ გადმოვდიოდი, სულ მეუბნებოდნენ, აი, ხვალე აი, ზეგ და ასე გაგრძელდა ექვსი კვირა. ამის გამო გულიანად ვეღარ ვვარჯიშობდი.

— უესლი სნეიდერის აზრით, ამჟამინდელი „რეალი“ „მანჩესტერზე“ ძლიერია და ჩემპიონთა თასის მოგება შეუძლია.

— მეც ასე მგონია.

— თავისუფალ დროს რას აკეთებთ?

— ვარჯიშის მერე მხოლოდ იმდენი დრო მრჩება, რომ ვივახშმო, მეუღლეს ვესაუბრო და ფილმს ვუყურო.

— ბოლოს რა ნახეთ?

— „24 საათი“.

— საყვარელი ფილმი?

— „ტიტანიკი“

— მსახიობები?

— ედი მერფი და ჰოლი ბერი.

რობერტო როზეტი

ლემანი როზეტის გამოეკიდა

თვეზე მეტი გავიდა ევროპის ჩემპიონატის დასრულებიდან, იენს ლემანი კი ფინალის მსაჯს არ ასვენებს.

ესპანეთთან წაგების შემდეგ გერმანიის ნაკრების მეკარემ იტალიელი არბიტრი რობერტო როზეტი გააკრიტიკა და ახლა ერთხელაც გადასწვდა.

„რაც დრო გადის, მით უფრო მეტად ვბრაზდები — თქვა ლემანმა „ბილდთან“ — ვფიქრობ, რომ როზეტი ჩვენს წინააღმდეგ უსტვენდა“.

ფინალის ერთ ეპიზოდში დავიდ სილვამ ლუკაშ პოდოლსკის თავი ჰკრა და მსაჯმა არ გააძევა, ბოლ წუთზე კი გერმანელებს შეტევა არ დაასრულებინდა და მატჩი დაამთავრა.

„დავიდ სილვას აშკარად წითელი ბარათი ეკუთვნოდა, პირველ ტაიმში კი ხელით თამაშისთვის პენალტი არ მოგვცა — გაცხარდა ლემანი — ისიც ვერ გავიგე, რატომ დაასრულა თამაში მაშინ, როცა ჩვენ ვუტევდით და გათანაბრების შანსი გვქონდა. ჩემი აზრით ეს ყველაფერი შემთხვევით არ მომხდარა“.

ვაჟა ხუციშვილი

არავინ მოსულა



მარკო ვან ბასტენი

„აიაქსის“ მწვრთნელმა მარკო ვან ბასტენმა განაცხადა, რომ კლაას იან ჰუნტელაარის შეძენის თაობაზე მათთვის ოფიციალურად არავის მიუკითხავს.

ჰოლანდიელი ფორვარდით „მანჩესტერი“, „არსენალი“, „ბარსელონა“ და „რეალი“ იყვნენ დაინტერესებულნი, მაგრამ საქმე ლაპარაკს არ გასცილებია.

ჰუნტელაარმა ბოლო ორ სეზონში საუცხოოდ ითამაშა და ერთ-ერთი ყველაზე კარგად რეკლამირებული მეგოლეა ევროპაში.

„ჩვენთან ოფიციალურად არავინ მოსულა — თქვა ვან ბასტენმა — და ვიმედოვნებ, რომ არც მოვლენ. ნიჭიერი ჰოლანდიელი ფეხბურთელების შენარჩუნება ერედივიზიონის კლუბებს უჭირთ, მაგრამ მათ ჯერ აქ უნდა დაამტკიცონ, რომ ძლიერები არიან.

„აიაქსში“ ფეხბურთელების აღზრდის კარგი სისტემაა და მნიშვნელოვანია, რომ ისინი რაც შეიძლება დიდხანს დავიტოვოთ.

თუ ხუთი წელი მაინც ითამაშებენ პირველ გუნდში და მერე წავლენ, ეს ნორმალურია, მაგრამ 18-19 წლის ბიჭები რომ მიდიან, ეს უკვე ცუდია“.

ვაჟა ხუციშვილი

ფილდერმა მუხლი იტკინა

ბერლინის „ჰერტას“ მეკარემ კრისტიან ფილდერმა ინგლისურ „ნიუკასლთან“ ამხანაგური შეხვედრისას მუხლის ტრავმა მიიღო და თამაშის დაწყებიდან 10 წუთის შემდეგ შესაცვლელი შეიქნა. წინასწარი გამოკვლევით დადგინდა, რომ მას ჯვარედინი მყესები დაუშავდა, რის გამოც გოლკიპერი სავარაუდოდ, ბუნდესლიგის სტარტს გამოტოვებს.

მონსორო გაფორმდა

სილვენ მონსორო „სენტ ეტიენის“ წევრი ოფიციალურად გახდა. 27 წლის ფეხბურთელმა „მწვანეებთან“ ოთხწლიანი ხელშეკრულება გააფორმა. მონსორო, რომელიც აქამდე „მონაკოში“ თამაშობდა, მარცხენა, ან ცენტრალური მცველის პოზიციაზე ითამაშებს. ამ ზაფხულს ეს „სენტ ეტიენის“ უკვე მეექვსე შენაძენია.

არჩილ კოგანიძე

რუსეთი

პრემიერლიგა. XVI ტური

ტომი 0:1 სპარტაკი
0:1 ფატი (11)

ზენიტი 2:1 მოსკვა
0:1 რებკო (21), 1:1 დენისოვი (51), 2:1 ფათიპ თექე (77)

ხიმკი 1:1 დინამო
0:1 სემშოვი (12), 1:1 პილიპჩუკი (40)

ლოჩ-ენერგია 1:1 რუბინი
1:0 ა. ალვეში (22), 1:1 კარადენიზი (86)

ამკარი 0:0 ნალჩიკი

ცსკა 0:0 კრილია

ტერეკი 1:0 სატურნი
1:0 ილიევი (45)

ლოკომოტივი — შინიკი
გადაიდო

რუბინი	16	8	6	2	20:12	30
ამკარი	16	8	4	4	18:11	28
დინამო	16	8	4	4	23:18	28
სპარტაკი	16	7	6	3	28:23	27
ლოკომოტივი	15	6	6	3	22:15	24
კრილია	16	5	8	3	22:14	23
ზენიტი	15	5	7	3	24:16	22
ცსკა	16	5	7	4	19:15	22
ნალჩიკი	16	6	3	7	16:19	21
ტერეკი	15	6	3	6	14:18	21
ტომი	16	5	4	7	14:20	19
სატურნი	16	4	5	7	15:16	17
მოსკვა	16	3	7	6	15:19	16
ლოჩ-ენერგია	16	2	7	7	11:21	13
ხიმკი	16	2	6	8	21:35	12
შინიკი	15	2	5	8	15:25	11

უკრაინა

პიშა ლიგა. III ტური

ჩერნომორეცი — კარპატი 3:0; ხარკოვი — არსენალი 1:1; ლვოვი — დნიპრო 0:1; კრივბასი — მ. დონეცკი 1:2; დინამო — მეტალისტი 1:2; ზარია — მ. ზაპოროჟე 0:0; შახტარი — ილიჩევეცი 3:0; ტავრია — ვორსკლა 1:3

შვედეთი

ალსვენსკა. XVII ტური

გოტებორგი — მალმიო 2:0, გეფლე — ჰალმსტადი 4:0; ჰამარბი — ლიუნგსკილე 2:2; ტრელებორგი — იორგბრო 3:3. ელფსბორგი — გაის, ჰელსინგბორგი — სუნდსვალი და კალმარი — აიკ დღეს გაიმართება, იურგორდენი — ნორჩიოპინგი კი ხვალ

კალმარი	16	11	2	3	37:16	35
ელფსბორგი	16	10	4	2	22:5	34
გოტებორგი	17	9	5	3	26:14	32
ჰელსინგბორგი	16	9	4	3	29:18	31
ჰამარბი	17	8	6	3	26:19	30
აიკ	16	8	4	4	19:15	28
მალმიო	17	6	6	5	25:25	24
ჰალმსტადი	17	5	6	6	19:22	21
გაის	16	4	8	4	16:16	20
ტრელებორგი	17	4	6	7	17:20	18
იურგორდენი	16	4	6	6	15:23	18
იორებრო	17	4	5	8	12:24	17
სუნდსვალი	16	4	4	8	17:22	16
გეფლე	17	4	2	11	14:23	14
ლიუნგსკილე	17	4	2	11	15:29	14
ნორჩიოპინგი	16	1	4	11	13:31	7

სუპერლიგა. XVII ტური

ანგელჰოლმი — ჰეკენი 1:1; ბრომაპოიკარნა — ფალკენბერგი 2:1; ქვიდინგი — ასირისკა 2:1. ენშიოპინგი — ლანდსკრონა, იონკოპინგი — ატვიდაბერგი, ბანყეფლო — იორგრიტე, სირიუსი — დეგერფორსი და ვასბი — მიალბი დღეს გაიმართება

ირლანდია

პრემიერლიგა. XXI ტური

ბოჰემიანი — კობი 3:0; დერი — შემროკი 0:1; დროჰედა — ბრეი 2:0; ფინ ჰარპსი — გალვეი 0:2; სლიგო — კორკი 0:1; დუბლინი — სენტ პატრიკი 0:3

ამხანაგური მატჩები

2 აგვისტო

სტოკპორტი — მანჩესტერ სიტი 2:2; აინტრახტი — აუგსბურგი 1:0; რეალი — ჰამბურგი 2:1; სოშო — კარლსრუე 1:1; ბარნეტი — უოტფორდი 3:2; ბირმინგემი — ფულემი 1:1; ბრედფორდი — ოლდჰემი 1:0; როვერსი — დენ ჰაგი 2:3; ბარტონი — ჩესტერფილდი 2:3; დერბი — უტრეხტი 2:2; ბიბერნიანი — მიდლსბრო 2:3; მანჩესტერ იუნაიტედი — ესპანიოლი 1:0; პლიმუთი — დანდი იუნაიტედი 0:1; რეინჯერსი — ლივერპული 0:4; შეფილდ უენსდი — უიგანდი 2:3; შრიუსბერი — სტოკი 0:1; ვულვერჰემპტონი — ბლეკბერნი 4:2; ვეპნენი — ვოლფსბურგი 1:4; არსენალი — იუვენტუსი 0:1; როზენდალი — ალკმაარი 1:3; ოსერი — გრენობლი 0:2; ვიჩენცა — ტორინო 1:2; მანტოვა — ანთალია 0:0; სამპდორია — ბოლეანო 4:1; ოსასუნა — სოსიედადი 0:1; ნანტი — რენი 0:1; ტულუზი — მარსელი 0:0; ვესტერლო — ექსელსიორი 3:2; ბენფიკა — ბუკ 2:2; სიენა — ბენევენტო 0:0; ნაპოლი — ავერზა 1:1; რეჯინა — პრო ვერჩელი 2:0; პალერმო — პორტუგრეირო 1:3; ჯენოა — აეკ 1:0; დარლინგტონი — სენტ მირენი 0:1; ნოტსი — ნოტინგემი 2:3; სოთპორტი — როჩდეილი 1:2; უოკინგი — ბრენტფორდი 1:5; ჰადერსფილდი — შეფილდ იუნაიტედი 2:1; კობლენცი — რუზელარე 4:1; ნესტვედი — ჰანზა 1:2; კოტბუსი — ინგოლშტადტი 2:1; ნიურნბერგი — ხეტაფე 0:0; ფიურტი — პანიონიოსი 2:0; მიონხენგლადბახი — ვალენსია 4:2; ზანკტ პაული — შტუტგარტი 2:5; ლუთონი — ბრაიტონი 0:3; ტრანმერი — ბლეკპული 1:0; რედინგი — ასტონ ვილა 1:1; ბარნლი — ინვერნესი 2:1; კილმარნოკი — ქოვენთრი 0:2; ქუინზ პარკი — კიევი 1:2; კრისტალ პალასი — ლესტერი 1:1; ჩარლტონი — ბილბაო 0:1; სუონსი — ვესტ ბრომვიჩი 0:0; ექსეტერი — მილუოული 1:0; ქრიუ — პრესტონი 0:2; ბოლონია — სასუოლო 4:2; ნაიმეგენი — სპარტა (როტერდამი) 3:1; ნორვიჩი — კოლჩესტერი 2:2; ზულტე-ვარეგემი — ტილბურგი 2:1; ვერდერი — ტრაბზონსფორი 1:3; კაენი — ლორიანი 1:3; ფრაიბურგი — მაინცი 1:0; ლე ავრი — ვალანსიენი 0:2; სენტ ტრუიდენი — ბეერსხოტი 0:0; ნანსი — ლე მანი 3:0; ჰერენვენი — ფოლკერკი 4:0; აკადემიკა — ნასიონალი 0:0; ამადორა — ბელენენსეში 3:0; სარაგოსა — ვილიარეალი 1:2; სპორტინგი (ლისაბონი) — ჰსკ ეინდჰოვენი 1:1; სენტ ეტიენი — სტანდარდი 3:0; მონაკო — რომა 0:0; ლილი — ნიცა 3:3; ლევსკი — პარალიმნი 2:0; კამერუნი (U-23) — აშშ (U-23) 1:0; კოტ დივუარი (U-23) — ჰოლანდია (U-23) 1:1

3 აგვისტო

მილანი — ჩელსი 0:5; სევილია — ლოკომოტივი 0:3; ჰართსი — ჰალი 1:0; იუვენტუსი — ჰამბურგი 0:3; სანდერლენდი — აიაქსი 0:1; ლიერსი — დენდერი 1:1; მიუნხენი — გალათასარაი 0:0; არსენალი — რეალი 1:0; დორტმუნდი — ტოტენჰემი 0:3; ალ ჰილალი — გროსეტო 1:1; გენკი — ირაკლიონ 1:1; აეკ — ანკარაგიუზეუ 5:0; ქოჯალელი — ბეშიქთაში 0:4; პორტუ — კალიარი 4:1; ფეიენოორდი — სელტიკი 1:3; ჰანოვერი — ჰერტა 3:1; ბრიუგე — ლილი 4:1; ბრაგა — ლეიშოეში 3:1; მალიორკა — ნიუკასლი 1:0. მარიტიმუ — დეპორტივო გვადალასარა — ბარსელონა და კოლორადო — ეფერტონი წუხელ გვიან დამთავრდა

საფრანგეთი

სუპერთასი

ბორდო 0:0 (პენ.5:4) ლიონი

II დივიზიონი. I ტური

აიაჩო — შატორუ 0:1; ამიენი — ბულონი 1:1; ანჟერი — რეიმსი 3:1; კლერმონი — ვანე 0:1; ტუარი — სედანი 2:1; ტრუა — ბასტია 1:2; გენგამი — მეცი 0:1; ლანსი — დიჟონი 3:1; ნიმი — ბრესტი 0:1. სტრასბური — მონპელიე დღეს გაიმართება

ანჟერი	1	1	0	0	3:1	3
ლანსი	1	1	0	0	3:1	3
ტუარი	1	1	0	0	2:1	3
ბასტია	1	1	0	0	2:1	3
მეცი	1	1	0	0	1:0	3
ვანე	1	1	0	0	1:0	3
შატორუ	1	1	0	0	1:0	3
ბრესტი	1	1	0	0	1:0	3
ამიენი	1	0	1	0	1:1	1
ბულონი	1	0	1	0	1:1	1
მონპელიე	0	0	0	0	0:0	0
სტრასბური	0	0	0	0	0:0	0
სედანი	1	0	0	1	1:2	0
ტრუა	1	0	0	1	1:2	0
კლერმონი	1	0	0	1	0:1	0
აიაჩო	1	0	0	1	0:1	0
ნიმი	1	0	0	1	0:1	0
გენგამი	1	0	0	1	0:1	0
რეიმსი	1	0	0	1	1:3	0
დიჟონი	1	0	0	1	1:3	0

შოტლანდია

I დივიზიონი. I ტური

კლაიდი — მორტონი 1:1; პარტიკი — დანფერმლაინი 1:0; ქუინი — ერდრი 0:0; როსი — დანდი 1:2; სენტ ჯონსტონი — ლივინგსტონი 2:0

II დივიზიონი. I ტური

არბროთი — ალია 4:1; ეარი — რეითი 0:0; ბრეჩინი — სტირლინგი 2:1; ისტ ფაიფი — პიტერჰედი 0:2; ქუინზ პარკი — სტრანრაერი 2:2

III დივიზიონი. I ტური

კოუდენბითი — ანანი 1:4; ალბიონი — ფორფარი 1:3; ბერვიკი — ისტ სტირლინგი 2:1; დამბარტონი — მონტროუზი 1:1; სტენჰაუზმური — ელგინი 3:0

ფორტუგალია

ლიგის თასი

I ეტაპი. I მატჩები

კოვილია — ბოავიშტა 0:0; ოლივეირენსე — ეშტორილი 0:1; პორტიმონენსე — ფილ ვისენტე 0:2; ფეირენსე — ვიზელა 1:2; გონდომარი — ბეირა მარი 3:1; სანტა კლარა — ოლიალენსე 0:0; ვარზიმი — ლეირია 0:0; ფრეამუნდე — ავეში 3:1

სლოვაკეთი

I ლიგა. III ტური

რუჟომბეროკი — ბასკა ბისტრიცა 1:0; კოშიცე — დუბნიცა 3:1; სლოვანი — დუნაისკა სტრედა 2:1; ნიტრა — არტმედია 1:2; ჟილინა — ტატრანი 5:1. ტრნავა — მორავჩე დღეს გაიმართება

გერმანია

III ბუნდესლიგა. II ტური

ოფენბახი — ბურგჰაუზენი 2:0; კიკერსი — დიუსელდორფი 0:2; უნიონი — შტუტგარტი (მ) 3:1; აალენი — რეგენსბურგი 1:1; ვუპერტალი — ბაიერნი (მ) 2:2; პადერბორნი — უნტერჰახინგი 1:1; კარლ ცაისი — აუე 3:2; ბრაუნშვაიგი — ერფურტი 1:1. ვერდერი (მ) — ზანდჰაუზენი 9 აგვისტოს გაიმართება, დინამო — ემდენი კი 13 აგვისტოს

მექსიკა

აპერტურა. II ტური

ტეკოსი — გვადალახარა 1:0; ხაგუარესი — ტიგრესი 1:3; მონტერეი — ინდიოსი 2:0; პაჩუკა — სან ლუისი 2:3; ატლასი — კრუზ ასული 2:1; ნეკაქსა — პუებლა 0:0; მორელია — ატლანტე 0:0; ტოლუკა — ამერიკა 2:1. სანტოსი — უნამი წუხელ გვიან დამთავრდა

ბრაზილია

სერია A. XVII ტური

ფლუმინენსე — ინტერნასიონალი 1:2; გოიასი — პორტუგესა 4:0; ნაუტიკო — ფიგეირენსე 1:2; ფლამენგო — კრუზეირო 1:2; გრემიო — ვიტორია 2:0; იპატინგა — პალმეირასი 1:2; სან პაულუ — ვასკუ და გამა 4:0. ატლ. მინეირო — სპორტ რეციფე, ატლ. პარანენსე — ბოტაფოგო და სანტოსი — კურიტიბა წუხელ გვიან დამთავრდა

შვეიცარია

სუპერლიგა. IV ტური

ქსამაქსი — აარაუ 0:0; სიონი — ბაზელი 2:0; ბელინცონა — ლუცერნი 2:2; ვადუცი — გრასჰოპერი 1:1; ციურიხი — იანგ ბოისი 2:1

აარაუ	4	3	1	0	7:2	10
ციურიხი	4	3	0	1	6:4	9
ბაზელი	4	3	0	1	5:3	9
ქსამაქსი	4	2	1	1	4:3	7
სიონი	4	2	0	2	6:7	6
ვადუცი	4	1	2	1	3:4	5
გრასჰოპერი	3	1	1	1	4:3	4
ბელინცონა	3	0	1	2	3:6	1
იანგ ბოისი	4	0	1	3	3:6	1
ლუცერნი	4	0	1	3	3:6	1

ჩელენჯლიგა. II ტური

ჟენევრდია — ივერდონი 2:2; შაფჰაუზენი — ლოკარნო 2:1; ნიონი — ბილბენე 2:1; ვილი — გოსაუ 2:1; ვინტერთური — სერვეტი 1:0; ლოზანა — თუნი 3:1; ლუგანო — შო დე ფონი 3:0. ვოლენი — სენტ გალენი დღეს გაიმართება

ნორვეგია

ტიპელიგა. XVI ტური

ბრანი — ჰამ კამი 4:1; ვოლერენგა — ფრედრიქსტადი 1:1; ლილესტრიომი — სტრომსგოდსეტი 3:1; სტაბეკი — ბოდიო გლიმტი 4:1; ვიკინგი — ლინი 2:0; ტრომსიო — როსენბორგი 4:0. მიოლდე — ალესუნდი დღეს გაიმართება

სტაბეკი	15	9	4	2	30:12	31
ფრედრიქსტადი	16	9	3	4	26:19	30
ტრომსიო	15	8	4	3	21:9	28
ლინი	16	7	3	6	22:19	24
ვიკინგი	16	7	3	6	20:19	24
ბრანი	16	6	5	5	26:23	23
ვოლერენგა	16	6	4	6	20:20	22
ბოდიო გლიმტი	16	6	4	6	18:25	22
როსენბორგი	15	6	3	6	21:19	21
სტრომსგოდსეტი	16	5	4	7	20:23	19
მიოლდე	15	4	6	5	21:21	18
ლილესტრიომი	16	5	3	8	20:26	18
ალესუნდი	15	4	1	10	21:32	13
ჰამ კამი	15	2	3	10	11:30	9

I დივიზიონი. XVI ტური

ოდ გრენლანდი — ტრისილი 5:1; ალტა — სანდეფიორდი 1:1; ჰინნეფოსი — ლოვ ჰამი 1:3; კონსვინგერი — სტარტი 2:2; მოსი — სანდნესი 2:4; ნოტოდენი — ჰაუგესუნდი 1:1; სპარტა — ჰიოდი 2:1; სიოგნდალი — ბრინი 1:0

დანია

სუპერლიგა. III ტური

ვაილე — ოლბორგი 2:3; მიდტიულანდი — ჰორსენსი 2:1; ესბიერგი — ნორდსიელანდი 1:1; ოდენსე — ორჰუსი 3:1; ბრონდბიუ — რანდერსი 0:3. სიონდერისკე — კოპენჰაგენი დღეს გაიმართება

რანდერსი	3	2	1	0	7:2	7
მიდტიულანდი	3	2	1	0	5:3	7
ოდენსე	2	2	0	0	6:2	6
ბრონდბიუ	3	2	0	1	4:4	6
კოპენჰაგენი	2	1	1	0	2:1	4
ოლბორგი	3	1	0	2	5:6	3
ჰორსენსი	3	1	0	2	4:5	3
ორჰუსი	3	1	0	2	5:7	3
ვაილე	3	1	0	2	4:6	3
სიონდერისკე	2	0	1	1	1:3	1
ნორდსიელანდი	2	0	1	1	1:3	1
ესბიერგი	3	0	1	2	1:3	1

სლოვენია

I ლიგა. III ტური

ნოვა გორიცა — რუდარი 0:2; ნაფტა — პრიმორიე 1:0; პუბლიკუმი — დომჟალე 0:0; მარიბორი — დრავა პტუი 1:1. ინტერბლოკი — კოპერი დღეს გაიმართება

ხორვატია

I დივიზიონი. II ტური

დინამო — ინტერი 3:1; შიბენიკი — კროაცია 0:1; ოსიეკი — ციბალია 2:0; რიეკა — ზაგრები 0:1; სლავენი — ზადარი 2:1; პაიდუკი — ვარტექსი 1:1

ავსტრია

ბუნდესლიგა. V ტური

მატერსბურგი — ალტახი 3:1; რაპიდი — კაპფენბერგი 3:1; შტურმი — აუსტრია 0:0; რიდი — კერნტენი 0:0; ზალცბურგი — ლინცერი 1:0

ზალცბურგი	5	3	2	0	13:3	11
რაპიდი	5	3	1	1	8:6	10
აუსტრია	5	2	3	0	7:4	9
ლინცერი	5	3	0	2	7:5	9
შტურმი	4	2	1	1	6:2	7
რიდი	5	2	1	2	7:6	7
მატერსბურგი	5	2	0	3	5:12	6
ალტახი	5	1	0	4	3:12	3
კერნტენი	4	0	2	2	3:5	2
კაპფენბერგი	5	0	2	3	5:9	2

I დივიზიონი. IV ტური

ლუშტენაუ — აუსტრია (მ) 1:2; ადმირა — აუსტრია (ლ) 0:2; გრატკორნი — ზალცბურგი (მ) 2:1; ლეობენი — სენტ პოლტენი 2:1; ვოკლაბრუკი — ნოიშტადტი 1:0; ტიროლი — გრიოდიგი 3:1

ფინეთი

ვეიკაუსლიგა. XV ტური

ტამპერე — როვანიემი 5:0; ჰონკა — იარო 3:1; მარიეჰამნი — მიუპა 0:0; კუოპიო — ჰაკა 0:1; ვაასა — ლაჰტი 0:1. ინტერი — ტურკუ და კტპ — ჰიკ დღეს გაიმართება

ინტერი	14	7	7	0	21:8	28
ლაჰტი	15	9	1	5	20:14	28
ჰონკა	15	8	3	4	24:10	27
ჰაკა	15	8	3	4	19:18	27
ჰიკ	14	7	5	2	29:12	26
მიუპა	15	7	5	3	19:10	26
ტურკუ	14	6	3	5	25:19	21
ტამპერე	15	5	5	5	26:20	20
როვანიემი	15	5	5	5	21:21	20
ვაასა	15	4	6	5	10:14	18
მარიეჰამნი	15	3	4	8	12:24	13
იარო	15	3	4	8	14:29	13
კუოპიო	15	2	4	9	13:29	10
კტპ	14	0	3	11	7:32	3

ჩეხეთი

გამბრინუს ლიგა. I ტური

პლზენი — ფოკოვი 3:2; ბანიკი — კლადნო 1:0; სპარტა — ბოლესლავი 1:0; ზლინი — იაბლონეცი 0:1; პრეიბრამი — ბრნო 0:1; ტეპლიცე — ბუდეიოვიცე 4:0; ლიბერეცი — სლავია 2:1. ბოჰემიანსი — სიგმა დღეს გაიმართება

ტეპლიცე	1	1	0	0	4:0	3
პლზენი	1	1	0	0	3:2	3
ლიბერეცი	1	1	0	0	2:1	3
იაბლონეცი	1	1	0	0	1:0	3
სპარტა	1	1	0	0	1:0	3
ბრნო	1	1	0	0	1:0	3
ბანიკი	1	1	0	0	1:0	3
სიგმა	0	0	0	0	0:0	0
ბოჰემიანსი	0	0	0	0	0:0	0
ჟიჟკოვი	1	0	0	1	2:3	0
სლავია	1	0	0	1	1:2	0
კლადნო	1	0	0	1	0:1	0
პრეიბრამი	1	0	0	1	0:1	0
ზლინი	1	0	0	1	0:1	0
ბოლესლავი	1	0	0	1	0:1	0
ბუდეიოვიცე	1	0	0	1	0:4	0

აშშ

მეიჯორ ლიგა. XIX ტური

ვაშინგტონი — კანზასი 2:0; ჩიკაგო — ჩივასი 1:0; ჰიუსტონი — კოლუმბუსი 2:0; სან ხოსე — ლოს ანჯელესი 3:2; ტორონტო — დალასი 0:2

ჩილე

კლაუსურა. VII ტური

პალესტინო — უნივ. კონსეპსიონი 3:1; აუდაქს იტალიანო — ეფერტონი 2:1; უაჩიპატო — რეინჯერსი 1:2; უნივ. დე ჩილე — კობრელოა 3:1; მელიპილია — ოსორნო 3:1. სანტიაგო მორნინგი — უნიონ ესპანიოლა 1:2; უნივ. კათოლიკა — კოლო კოლო 1:0; ანტოფაგასტა — ო ჰიგინსი 2:1; კობრესალი — ატლეტიკო 1:0

სარბიელი
სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი გიორგი დარჯანია
მთავარი რედაქტორის მოადგილე კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი ზვიად მოსიაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ნუგზარ ლოლაძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ჟორჟოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვიახესლავ გასპაროვი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიორგი აბვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ვლადიმერ ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: თამაზ მიგრიაული, ირაკლი პერტაია, გრიგოლ სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლიანა ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, თამარ ქინქლაძე

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი – 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00